„ოცნებას“ მეტი პრინციპულობა მართებს!

დღემდე საკადრისად დაუსჯელი სააკაშვილის პოლიტიკური მონის გვარამიას ხელში „რუსთავი-2“ დემაგოგიური ბულდოზერის როლს ასრულებს, რომლის ერთადერთი მიზანია არსებული ხელისუფლებისთვის ძირის გამოთხრა და სახელმწიფოს სათავეში ისევ დამნაშავე ნაციონალების მოყვანა! კერძო საკუთრების წმიდათაწმიდა უფლება ჩვენი „მეგობარი ევროპელი პარტნიორებისგან“, თავისუფალი სიტყვის დაცვის საბაბით, ჯერჯერობით ფეხქვეშ გათელილია!

საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 10 მარტი. 2017 წ. №51-52 (8188-8189), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

პრემიერის წერილი ევროპარლამენტარებს

იტალიაში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა პრემიერ-მინისტრმა „რუსთავი-2“-ის საქმესთან დაკავშირებით ევროპარლამენტარების მიმართვაზე გააკეთა კომენტარი და აღნიშნა, რომ მომზადდება საპასუხო წერილი:

„ჩვენ საპასუხო წერილს მოვამზადებთ, რომელიც გამოქვეყნდება. საქართველოში არანაირი საფრთხე სიტყვის თავისუფლებას არ ემუქრება. ჩვენ ბოლო წლების განმავლობაში ეს საქმით დავადასტურეთ. საქართველოში არის მნიშვნელოვანდ გაუმჯობესებული გამოხატვის თავისუფლების მდგომარეობა, რაც დადასტურებულია ყველას მიერ. ვფიქრობ, შიშები, რომელიც აქვთ ჩვენს პარტნიორებს, არის გარკვეულწილად გადაჭარბებული. კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ საქართველოში არის მნიშვნელოვანი პროგრესი ამ მიმართულებით. მათი აზრი ჩვენთვის მნიშვნელოვანია. ვფიქრობ, რომ ეს აჟიოტაჟი, რომელიც აბსოლუტურად ხელოვნურად შეიქმნა, მალე ჩაცხრება. საქართველო აგრძელებს ჩვეულებრივ ცხოვრებას, ევროპული მომავლის შექმნას და არავითარი საფრთხე დემოკრატიზაციის კუთხით საქართველოში არ არსებობს. ამის გარანტია ჩვენი ხელისუფლებაა. ჩვენ ეს არაერთხელ დავადასტურეთ და ამ მიმართულებით სვლას ვაგრძელებთ“, — განაცხადა კვირიკაშვილმა.

დონალდ ტრამპი: მასმედია ამერიკელი ხალხის მტერია! ②

ბოგა ხაინდრავა: „რუსთავი-2“-ის შესახებ ჩვენი გადაწყვეტილება მიღებულია და არ ექვემდებარება გადახედვას! ③



ომარ მარგველაშვილი: დასანანია, რომ ჩვენი პრეზიდენტი არაქართულ ტალღაზე ტრიალებს ④



თემურ ბასილია: პატრიარქი გაოცებული დარჩა, როდესაც გაიგო, რომ საპატრიარქოსთან დაკავშირებული კომპანიები გადასახადებს არ იხდიდნენ!.. ⑥

ლია მუხაშავრია: ევროპულ თემიდას თვალეები კი აქვს ახვეული, მაგრამ ქართულ მედიას ეცნობა... ⑤

ყველასგან მივიწყებულნი ⑧

ახალგორელების „ოსურ სახელმწიფოში“ ინტეგრაცია თუ წინასაარჩევნო „დათბობა“?

გიორგი კვირიკაშვილი: „რუსთავი-2“-ის საკითხი გაზვიადებულია!

იტალიაში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა პრემიერ-მინისტრმა „რუსთავი 2“-ის საქმესთან დაკავშირებით სტრასბურგის სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე კომენტარი გააკეთა.

„ჩვენ აქამდეც ვაცხადებდით, რომ ეს არის ორ კერძო სუბიექტს შორის დავა და სწორედ ამ ჭრილში გაგრძელდება ეს პროცესი. არანაირი გაზვიადება ამ მოვლენის ჩვენ არ გვმართებს. ეს არის ჩვეულებრივი ამბავი. ჩვენ, რა თქმა უნდა, ჩვენი მხრიდან გავაგრძელებთ ინფორმაციის მიწოდებას. საერთოდ, მგონია, რომ ეს საკითხი იყო როგორც თავიდანვე გაზვიადებული და პოლიტიზირებული, ასე რჩება დღესაც. მე მაგალითად ამ საკითხს ამხელა მნიშვნელობას არ მივანიჭებდი. ეს არის ჩვეულებრივი იურიდული საქმე, რომელზეც იუსტიციის სამინისტრო აგრძელებს იმ პროცესუალურ ქმედებებს, რაც მას მართებს. სახელმწიფო ინსტიტუციები მუშაობენ. ჩვენ და ჩვენს მოსახლეობას აქვს სრული ნდობა ჩვენი ინსტიტუციების და ამ მიმართულებით არანაირი ბზარი არ შეიძლება რომ იყოს“, — განაცხადა კვირიკაშვილმა.

იტალიასა და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატებს შორის მემორანდუმი გაფორმდა

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატასა და იტალიის სავაჭრო პალატების გაერთიანებას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. დოკუმენტი ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავებას ემსახურება. მემორანდუმი იტალიისა და საქართველოს ბიზნესექტორების დაკავშირების ხელშეწყობის მიზნით ინფორმაციის გაცვლასა და ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვას ითვალისწინებს.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს ხელი იტალიის დედაქალაქში გამართულ ბიზნესფორუმზე მოეწერა, რომელიც საქართველოს პრემიერ-მინისტრის ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში გაიმართა. დაბალი ტარიფები, მსუბუქი საბაზრო რეგულაციები, ბაზრის ფიზიკური და ნორმატიული ხელმისაწვდომობა, ევროკავშირთან ხელმოწერილი ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შეთანხმება, გეოსტრატეგიული მდებარეობა, მაღალსიჩქარიანი სარკინიგზო სისტემა და გზატკეცილები, ეკონომიკურ ზრდასა და ბიზნესის წახალისებაზე ორიენტირებული მიმდინარე რეფორმები და საქართველოში არსებული მიმზიდველი ბიზნესგარემო გიორგი კვირიკაშვილმა იტალიელ ბიზნესმენებს გააცნო. ფორუმის მონაწილეებს სიტყვით მიმართა იტალიის საგარეო საქმეთა და საერთაშორისო თანამშრომლობის მინისტრმა ანჯელინო ალფანომ. მისი თქმით, საქართველოსა და იტალიას განსაკუთრებულად მჭიდრო და ორმხრივი ურთიერთობები აკავშირებთ.

ბიზნესფორუმის მთავარ მიზანს სავაჭრო და ეკონომიკური კავშირების გაძლიერება წარმოადგენდა. ღონისძიებაზე დასასწრებად საქართველოდან 110 კომპანია გაემგზავრა. ფორუმის ფარგლებში გაიმართა პირისპირ შეხვედრები ქართული და შესაბამისი სფეროს იტალიური კომპანიების წარმომადგენლებს შორის.

ირაკლი კობახიძე: პრეზიდენტი ავლენს შემაშფოთებელ უპატივცემულობას ქვეყნის მთავარი დემოკრატიული ინსტიტუტის მიმართ

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე საკონსტიტუციო ცვლილებების საკითხის მიმართ, პრეზიდენტის დამოკიდებულებათან დაკავშირებით, განცხადებას აქვეყნებს:

„როგორც ცნობილია, 10 მარტს საქართველოს პრეზიდენტი გეგმავს შეხვედრის მოწყობას, რათა საზოგადოებას გააცნოს მისი ხედვა „კონსტიტუციის საერთო სახალხო განხილვისა“ და შესაბამისი „კამპანიის“ შესახებ. აღნიშნულ შეხვედრაზე საქართველოს პრეზიდენტი იწვევს „ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების, პოლიტიკური პარტიების, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს, კონსტიტუციონალისტებს, საკონსტიტუციო კომისიის წევრებს, მედიის და საზოგადოების წარმომადგენლებს“.

საქართველოს პრეზიდენტი აღნიშნული ინიციატივით კიდევ ერთხელ უპირისპირდება საქართველოს პარლამენტს და სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას და ავლენს შემაშფოთებელ უპატივცემულობას ქვეყნის მთავარი დემოკრატიული კონსტიტუციური ინსტიტუტის მიმართ:

1. საქართველოს პრეზიდენტმა შეხვედრა დანიშნა 10 მარტს, საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომის დღეს, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე და სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის 34 წევრი საკანონმდებლო ორგანოს წარმოადგენენ და 10 მარტს თავიანთი უშუალო უფლებამოსილების განხორციელებით უნდა იყვნენ დაკავებული. ამით, გიორგი მარგველაშვილმა გამოავლინა ღრმა უპატივცემულობა საქართველოს პარლამენტის მიმართ;

2. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის ორგანიზება არის საქართველოს პარლამენტის ექსკლუზიური უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა. პრეზიდენტს უფლება აქვს მხოლოდ მხარი დაუჭიროს საქართველოს პარლამენტს აღნიშნული განხილვის ორგანიზებაში. აქედან გამომდინარე, გიორგი მარგველაშვილის ინიციატივა, რომელიც საქართველოს პარლამენტთან ყოველგვარი კონსულტაციის გარეშე გაცხადდა, უხეშად ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს და უნდა შეფასდეს როგორც საქართველოს პარლამენტის უპატივცემულობის მორიგი გამოვლინება;

3. როგორც საქართველოს კანონმდებლობის, ისე რაციონალური ლოგიკის თანახმად, კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა შეიძლება გაიმართოს მხოლოდ მას შემდეგ, რაც მომზადდება და საქართველოს პარლამენტს ინიციატივის წესით წარედგინება კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტი. აქედან გამომდინარე, კანონპროექტზე მუშაობის დასრულებამდე 2 თვით ადრე პრეზიდენტის მიერ აღნიშნული ინიციატივის გაცხადება მოკლებულია რაციონალურ საფუძველს და მხოლოდ სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის საქმიანობისთვის დაბროლების შექმნას შეიძლება ისახავდეს მიზნად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოვუწოდებთ პრეზიდენტს, გვერდზე გადადოს ვიწრო პოლიტიკური ინტერესები და პატივი სცეს კონსტიტუციურ ინსტიტუტებს, არ შეუქმნას ხელოვნური დაბრკოლებები სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის საქმიანობას და იმოქმედოს საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის დაცვით“, — ნათქვამია საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებაში.

დონალდ ტრამპი: „მასმედია ამერიკელი ხალხის მტერია“!

ამერიკაშიც და საქართველოშიც მასმედია „საფრთხეშია“?!

ამ ემოციური ფრაზის კონტექსტი შეიძლება ოდიოზურ ჟურნალისტთა „ცხელი“ თავების გასაგრილებლად და მასმედიის რეალობისკენ „მოსაქცევად“ რელევანტურიც იყო, მაგრამ არ გაჭრა — ჟურნალისტთა ცხელ თავებში ცხელი აზრები ისევ დულს.

„დიახ ასეა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ასეთი ფრაზები ავტოკრატების ლექსიკიდანაა“ — ირონიულად აცხადებს „ვაშინგტონ პოსტი“-ს მიმომხილველი მარგარეტ სალივანი და ტრამპის პუტინთან მსგავსებაზე დიდი მონდომებით საუბრობს. „პუტინმა გაანადგურა რუსეთში დამოუკიდებელი მასმედია, ტრამპსაც იგივე სურს“ — ასკვნის მარგარეტი. თუმცა ამერიკაში არავინ ელის, რომ ჟურნალისტთა მოწამვლას, ტელევიზიების დარბევას ან რაიმე რეპრესიებს ექნება ადგილი. მერე რა?! „დემოკრატთა“ მასმედია დემოკრატიულად ყაყანებს და ტრამპის ნებისმიერ გამონათქვამზე პანიკაში ვარდება.

ამერიკის ლიბერალური, „დემოკრატიული“ პრესა თავს იჭამს და თვითგაუფასურებას ახდენს. ყველანაირად ცდილობენ ტრამპი და მისი გუნდი წარმოაჩინონ რუსეთის გავლენის ქვეშ, მათთან სახიფათო ალიანსში მყოფ ძალად, ხოლო დამარცხებული „დემოკრატები“ და ობამას ყოფილი ადმინისტრაცია — პატრიოტებად. თითქოს ტრამპი რუსეთთან ურთიერთობაში რბილი პოლიტიკის მომხრეა, აი ობამა კი ვაჟკაცურად ებრძოდა თავისი სანქციებით რუსეთს.

არადა, ყველაფერი პირიქითაა. ობამას მთელი „სანქციური“ ომი, გადაწონა ტრამპის ერთმა ტექნიკურმა სვლამ: ამ „საშიში“ მსოფლიოს გამოწვევების პასუხად, ახალი ადმინისტრაცია აპირებს აშშ-ის სამხედრო ბიუჯეტის 54 მლრდ დოლარით გაზრდას, რაც არსებულზე 9 %-ით მეტიაა. ამასთან, ამერიკის სამხედრო ხარჯები ისედაც ყველაზე დიდია მსოფლიოში და სამჯერ მეტია, ვიდრე მეორე ადგილზე მყოფი ჩინეთის სმხედრო ბიუჯეტი. რუსეთისთვის კი ასეთი გამოწვევა საერთოდ დაუძლეველია. ამის მიუხედავად, რესპუბლიკელი სენატორები უფრო მეტი ინტერვენციონისტული საგარეო პოლიტიკის მომხრე არიან. როგორც ჩანს, ტრამპი რეიგანის გზას მისდევს, მისი გლობალური სტრატეგია მოსკოვის ილუზიებს დაამსხვრევს. მაგრამ, ლიბერალური ამერიკა ამას არ იმჩნევს, პრესა კი უგულებელყოფს ამ მოცემულობას და ცდილობს ააგოროს „ტრამპგეიტი“ — დიდი ხმაური არაფრისგან.

მოკლედ, ანგაჟირებული მასმედია თეთრს შავად წარმოაჩენს და შავს თეთრად...

დაახლოებით მსგავსი რამ ხდება საქართველოში. ეკონომიკურ ან „ცხელ“ ომს არ ვაპირებთ არავისთან, მაგრამ...

„საქართველოში თავისუფალ სიტყვას აღშობენ“! „ქართული მასმედია საფრთხეშია“! — აცხადებენ ქართული არასამთავროები და ფეხის ხმას აყოლილი „დამოუკიდებელი“ ჟურნალისტები. მეტიც, „ქართველი ოლიგარქი საქართველოს რუსეთისკენ მიათრევს“! აი მიშა კი, თურმე „9 წელიწადი ქედმოუხრელად ებრძოდა პუტინს, და აჯობა — ვერ დააჩოქეს“...

მაინც რა უნამუსოა ეს პოლიტიზირებული მასმედია, აქაც და ამერიკაშიც?! ოდიოზურმა ჟურნალისტებმა (აქაც და იქაც) თუ მოინდომეს, თუ აწყობთ, კაცს გადააქცევენ არაკაცად, არაკაცს — მაგარ კაცად, პოლიტიკოსს — ვიღაცის მარიონეტად, რეალობას კი არაფრად — არარსებულად, ან აბსურდის თეატრად.

ახლა, მეც უნდა შევეცადო საქართველოს გადარჩენას და „ჩავახშო“ ერთი ანგაჟირებული მედია, თავის ჟურნალისტიანად...

ინტერნეტ-პრესას გადავხედე და შემთხვევით მივადექი „და/მა ნიუს“-ს, რომელიც სომხურ, აზერბაიჯანულ, ქართულ და რუსულ ენებზე წერს სრულ დემაგოგიას. შემომანათა „ცხელმა“ სათაურმა — „საქართველოს ცეცხლის ხაზისკენ უბიძგებენ“, და ავტორის დიდებულმა გვარ-სახელმა — ირაკლი ჩ***ძე.

ვერცერთი რუსი დემაგოგი ვერ შეთხზავდა ისეთ „პუბლიცისტიკას“, როგორსაც „აცხობს“ დიდი გემოვნებით ეს ჩვენი ირაკლი. ისეთი მონდომებით წერს რუსულ პროპაგანდისტულ შაბლონურ სტატიებს, გეგონებათ მამით, პაპით და პაპის პაპით რუსი, ვინმე მუჟიკი გესაუბრებათო (მისი პუბლიცისტიკით აქ არ გადაგღლით)...

აი, ასეთ ჟურნალისტებს ჰქვია დეზინფორმატორი, და ცოტათი ჭკუასუსტი (აქაც და იქაც)...

ნუკრი მიხანაშვილი

გოგა ხაინდრავა:

„რუსთავი 2“-ის შესახებ ჩვენი გადაწყვეტილება მიღებულია და არ ექვემდებარება გადახედვას!



კონორეჟისორმა გოგა ხაინდრავამ „რეპორტიორთან“ „რუსთავი-2“-ის შესახებ ისაუბრა და სტრასბურგის მორიგე მოსამართლის გადაწყვეტილებას შეეხო. ხაინდრავას განცხადებით, საქართველოში მიმდინარე პროცესები იმ მნიშვნელოვანი პროცესების შემადგენელი ნაწილია, მსოფლიოში რომ მიმდინარეობს და „ლიბერალური იდეოლოგიის სრული კრახი“ ჰქვია.

— როგორ შეაფასებდით საქართველოში მიმდინარე პროცესებს?

— ჩვენი ქვეყანა მნიშვნელოვანი მოვლენების ეპიცენტრში აღმოჩნდა. პროცესი, რომელიც ახლა საქართველოში მიმდინარეობს, იმ მნიშვნელოვანი მსოფლიო პროცესის შემადგენელი ნაწილია, რომელსაც ლიბერალური იდეოლოგიის სრული კრახი ჰქვია. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს აშშ-ში ჩატარებული არჩევნების მერე. ტრამპის პრეზიდენტობა მოიტანა დრომ და სისტემის ჩამოშლამ, რასაც ვხედავთ როგორც აშშ-ში, ისე ევროპაშიც.

იმის გამო, რომ ჩვენ ევროპის პერიფერია ვართ, ბუნებრივია, ეს ჩვენთან უფრო გვიან მოდის და უფრო მტკივნეულად მიმდინარეობს, მაგრამ რეალობა ასეთია და ჩვენ ამ რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ. საქართველო იმ ეტაპზეა, როდესაც ქართველმა საზოგადოებამ ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები უნდა მიიღოს და გაიაზროს იმ ვითარების სირთულე, რომელშიც ჩვენ დღეს ვიმყოფებით, გეოპოლიტიკური არეალის გათვალისწინებით.

— უკავშირდება თუ არა „რუსთავი-2“-ის საქმეს სტრასბურგის გადაწყვეტილება იმ პროცესს, რომელზეც საუბრობთ და ზოგადად როგორ შეაფასებდით სტრასბურგის მორიგე მოსამართლის გადაწყვეტილებას?

— ყველაზე მნიშვნელოვანი მაგალითი არის ის, რაც მოხდა სტრასბურგში. სტრასბურგი ძალიან დამახასიათებელია იმ მოვლენებისთვის, ჩვენ მთელ მსოფლიოში თვალყურს რომ ვადევნებთ. მოსამართლემ უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო, რომელიც სიცრუეზე და სიყალბეზეა დაყრდნობილი. ჩემი ღრმა რწმენით, ანგაჟირებულმა ინკოგნიტო მოსამართლემ მიიღო გადაწყვეტილება, როგორიც სტრასბურგის ისტორიას არ ახსოვს და რომელიც არასოდეს გამოიყენებოდა კერძო დავებთან მიმართებაში, გამოიყენებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც კონკრეტული ადამიანების სიცოცხლე იდგა საფრთხის ქვეშ. იმედი მაქვს, რომ პოლიტიკურად ანგაჟირებულ და მოტივირებულ გადაწყვეტილებას სტრასბურგის მოსამართლეთა პალატა მხარს არ დაუჭერს, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს პროცესები პოლიტიკურ სიბრტყეში გადავა. საერთაშორისო სასამართლოს მთელი მნიშვნელობა და მისი ავტორიტეტი უნდა დარჩეს სამართლებრივ სფეროში და არა პოლიტიკურში.

— კონკრეტულად რა საფრთხის წინაშე შეიძლება რომ აღმოჩნდეს ევროსასამართლო და, თქვენი აზრით, რას ემსახურებოდა „რუსთავი-2“-ის საქმის გადატანა სტრასბურგში?

— როგორც კი სტრასბურგის სასამართლო პოლიტიკურ სფეროში გადავა, ის დაკარგავს თავის ხიბლს, მნიშვნელობას და აღარ იქნება საინტერესო საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით. პოლიტიკური თვალსაზრისით ნაკლებად მნიშვნელოვანია, იმიტომ, რომ არაფრის გადაწყვეტის უნარი არა აქვს, ისე, როგორც არანაირი ბერკეტი არ გააჩნია, გააჩეროს საქართველოს სამი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება „რუსთავი-2“-ის საქმეზე. ეს არ არის მათი კომპეტენცია და, შესაბამისად, ვერაფერს იზამენ. გადაწყვეტილება მიღებულია უმაღლესი ინსტანციით და ის არ ექვემდებარება გადახედვას. არც სტრასბურგში, არც ბრიუსელში და არც სხვაგან არსად. ეს ყველამ კარგად იცის და, პირველ რიგში, იმ ადამიანებმა, ვინც ეს აჟიოტაჟი ატეხა. ეს პროცესები ემსახურება იმას, რომ საქართველოს სახელმწიფოზე ბერკეტები დარჩეთ ისევ იმ ფსევდოლიბერალურ ძალებს, რომლებიც წლების მანძილზე ჟიჟგნიდნენ მთელ მსოფლიოსა და საქართველოს.

ამის მაგალითი და წინაპირობა იყო აშშ-ის საელჩოს პოლიტიკურად ანგაჟირებული განცხადება და ელჩის იან კელის მოქმედება საქართველოში. ეს არის აშშ-ის პრობლემა, როდესაც ელჩი ეწინააღმდეგება საკუთარი ქვეყნის ხელმძღვანელის ოფიციალურ კურსს. სულ რამდენიმე დღის წინათ, ტრამპის გამოსვლის დროს სენატში, მან ცალსახად განაცხადა, რომ პოლიტიკური ლობიზმი, რომლითაც ვაშინგტონი დაავადებული იყო, დამთავრებულია და ის აღარ იქნება დღის წესრიგში არა მარტო ვაშინგტონში, არამედ მთელ მსოფლიოში, პოლიტიკური ლობიზმი, რომელიც რეალურად ლეგალური პოლიტიკური კორუფცია იყო და სხვა არაფერი.

სამწუხაროდ, აშშ-ის ელჩი ან არ უსმენს, რას ლაპარაკობს მისი პრეზიდენტი და რა კურსს ახორციელებს ახალი ადმინისტრაცია, ან ეწინააღმდეგება. როდესაც იან კელი ყურადღებას არ აქცევს, რომ აშშ-ის პრეზიდენტი თეთრი სახლის პრესკონფერენციაზე არ უშვებს CNN-ის კორესპონდენტებს, როდესაც ტრამპი თავის „ტვიტერის“ გვერდზე პირდაპირ ამბობს, რომ ძალიან სერიოზული სამაუწყებლო კომპანიები არიან არა მისი მტრები, არამედ ამერიკელი ხალხის მტრები, როდესაც ვითომდა თავისუფალი სიტყვის ფარისევლური იდეოლოგია პირდაპირ უპირისპირდება ამერიკის სახელმწიფო მმართველობის ინტერესებს და ჩვენ ყველანი ამაში ჩართული ვართ, ამ დროს საქართველოს ელჩი აშშ-ში და არც სხვა ელჩი არ საუბრობს იმაზე, რომ ამერიკაში თავისუფალი სიტყვა ან მედია საფრთხის ქვეშ არის. ეს მაშინ, როდესაც პრეზიდენტი პირდაპირ აგდებს პრესკონფერენციიდან CNN-ის კორესპონდენტს.

სამწუხაროდ, აშშ-ის ელჩი ან არ უსმენს, რას ლაპარაკობს მისი პრეზიდენტი და რა კურსს ახორციელებს ახალი ადმინისტრაცია, ან ეწინააღმდეგება. როდესაც იან კელი ყურადღებას არ აქცევს, რომ აშშ-ის პრეზიდენტი თეთრი სახლის პრესკონფერენციაზე არ უშვებს CNN-ის კორესპონდენტებს, როდესაც ტრამპი თავის „ტვიტერის“ გვერდზე პირდაპირ ამბობს, რომ ძალიან სერიოზული სამაუწყებლო კომპანიები არიან არა მისი მტრები, არამედ ამერიკელი ხალხის მტრები, როდესაც ვითომდა თავისუფალი სიტყვის ფარისევლური იდეოლოგია პირდაპირ უპირისპირდება ამერიკის სახელმწიფო მმართველობის ინტერესებს და ჩვენ ყველანი ამაში ჩართული ვართ, ამ დროს საქართველოს ელჩი აშშ-ში და არც სხვა ელჩი არ საუბრობს იმაზე, რომ ამერიკაში თავისუფალი სიტყვა ან მედია საფრთხის ქვეშ არის. ეს მაშინ, როდესაც პრეზიდენტი პირდაპირ აგდებს პრესკონფერენციიდან CNN-ის კორესპონდენტს.

— სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება, თქვენი აზრით, რას ემსახურებოდა?

— სტრასბურგის ერთი ინკოგნიტო მოსამართლე ერთ საათში გაერკვა მთელ ვითარებაში, თუ რა ხდება საქართველოში და გამოიტანა აბსოლუტურად უპრეცედენტო გადაწყვეტილება. ეს იმაზე მეტყველებს, რომ არანაირი გააზრება და არანაირი სერიოზული მიდგომა ამ საკითხის მიმართ არ ჰქონდა. ეს არის პოლიტიკური ლობიზმი, პოლიტიკური კორუფცია.

„რუსთავი-2“ არც მედიაა და, მით უმეტეს, არც დამოუკიდებელია. რომელ სარედაქციო პოლიტიკაზე შეიძლება ლაპარაკი იმ დაწესებულებაში, სადაც გენერალური დირექტორი ყოველ წუთში ეთერშია და შეურაცხყოფას აყენებს საზოგადოების წარმომადგენლებს და მაყურებელს, რომელიც მთლიანად აკონტროლებს იმ ე.წ. სარედაქციო პოლიტიკას, რომელიც „რუსთავი-2“-ს არ გააჩნია?

— რა მიზანს ემსახურება „რუსთავი-2“-ის ასეთი ქმედება?

— „რუსთავი-2“-ის მიზანია, ყველა არსებული ხერხით არეულობა გამოიწვიოს საზოგადოებაში. მისი პატრონი, რომელიც კიევში ზის, ამ ფონზე ცდილობს, დაბრუნდეს საქართველოში და გააგრძელოს ის დანაშაულებრივი პოლიტიკა და ქმედება, რომელსაც წლების განმავლობაში ახორციელებდა. ეს არის პარტიული რუპორი, რომელსაც არანაირი კავშირი არ აქვს თავისუფალ მედიასთან და ეს მშვენივრად იცის იან კელიმ, ისევე როგორც საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა, რომელიც კომედიანტად გადაიქცა. იმას, რაც ჩვენ ვნახეთ გუშინ, სხვას ვერაფერს ვუწოდებ. რაც საზოგადოებამ „იმედის“ ეთერში იხილა, ეს არის მხოლოდ უნიჭო კომედიანტობა.

ძალიან ბევრი სისულელე მომისმენია საქართველოს ყოფილი პრეზიდენტისგან, მაგრამ ის, რაც გიორგი მარგველაშვილისგან გავიგე, რომ თითქოს „რუსთავი-2“-ს საგარეო პოლიტიკური კურსი ჰქონია, ასეთი რამ არ მსმენია. ტელევიზიას რომ საგარეო პოლიტიკური კურსი ჰქონდეს, მსგავსი რამ მე არ მსმენია.

— პრეზიდენტის ადმინისტრაციის მხრიდან გაკეთდა განცხადება პრეზიდენტის ფონდის საშუალებით „რუსთავი-2“-ის გამოსყიდვასთან დაკავშირებით...

— მარგველაშვილმა იმ ცხრა მოსამართლიდან, რომელმაც „რუსთავი-2“-ის საქმეზე ერთსულოვანი გადაწყვეტილება მიიღო, ოთხი თავად წარადგინა, ხუთი — „ნაციონალური მოძრაობის“ მიერაა წარდგენილი. საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს სასამართლოს დამანგრეველ და შეურაცხმყოფელ განცხადებებს აკეთებს. მისი სპიკერი გამოვიდა და მადლობა გადაუხადა ევროპას იმისთვის, რომ ევროპამ თავისი გადაწყვეტილებით ეჭვქვეშ დააყენა საქართველოში თავისუფალი და დამოუკიდებელი სასამართლოს არსებობა. ეს უკვე მარაზმიც აღარ არის. ეს არის პოლიტიკური სიბეცე! რასაც ამ კაცისგან ვხედავთ, ეს არის გაუთავებელი კეკლუცობა და პოლიტიკური პატივმოყვარეობა. მას არათუ პრეზიდენტად, იმ უბნის სახლმმართველადაც კი არ აირჩევენ, სადაც ზის სასახლეში და მან ეს მშვენივრად იცის.

— ევროსასამართლოს გადაწყვეტილება გამოიწვევს თუ რა არეულობას?

— სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე საქართველოში არანაირი არეულობა არ დაიწყება. არც „რუსთავი-2“-ს და არც „ნაციონალურ მოძრაობას“ არეულობის გამოწვევის არანაირი რესურსი არა აქვთ.

სტრასბურგის გადაწყვეტილება ისეთივე კრახით დასრულდება, როგორც დასრულდა „ნაციონალური მოძრაობის“ საქმიანობა საქართველოში.

ჩემი ღრმა რწმენით, ეს არის ქართველი საზოგადოების ძალიან დიდი, ჯანმრთელი ნაწილის მოთხოვნა საქართველოს ხელისუფლებისადმი, იმიტომ, რომ ისინი არიან ჩვენი შეკვეთების შემსრულებლები, ისინი ვალდებული არიან, ის განახორციელონ, რასაც ქართველი საზოგადოება ითხოვს.

ქართველი საზოგადოება არ დაუშვებს საკუთარი პოლიტიკური და სამართლებრივი ინსტიტუტების შეურაცხყოფას.

ძალიან დიდი ვნებათაღელვაა ატეხილი საქართველოში და მინდა, მედიას მივმართო — თავმოყვარეობა იქონიეთ, ამით ფასდება თქვენი როლი საზოგადოებაში.

ანა ფერაძე

მეუფე იოანე:

ექსპერტიზამ უნდა დაადგინოს, რამდენად ავთენტურია გამოქვეყნებული ჩანაწერი

რუსთავის მიტროპოლიტის იოანე გამრეკელის თქმით, არ აქვს უფლება არ ენდოს პროკურატურას, მაგრამ ეს პროკურატურის პასუხისმგებლობის საკითხია.

„თვითონვე თქვეს, რომ გამოქვეყნებული მტკიცებულებები სრული არ არის. მე ვფიქრობ, ექსპერტიზამ უნდა დაადგინოს, რამდენად ავთენტურია ეს ჩანაწერი. ეს ჩემს კომპეტენციას აღემატება. მამა გიორგის არ ვიცნობ. ფაქტობრივად, საპატრიარქოში ორ-სამჯერ მყავს ნანახი და არ ვიცოდი, რომელ ეპარქიაში მსახურობდა. ახლა გავიგე“, — განაცხადა მეუფე იოანემ.

დასანანია, რომ ჩვენი პრეზიდენტი პრაქართულ ტალღაზე ტრიალებს

„რუსთავი-2“-ის ირგვლივ ატეხილი აურზაურის გამო

ტელეკომპანია „რუსთავი-2“ და „ნაცური“ ხელისუფლება ისე გადაესკვნა ერთმანეთს, ძნელი გასარჩევი იყო – სად იყო ხელისუფლება და სად ჟურნალისტიკა. ერთი სიტყვით, „რუსთავი-2“ დღიდან შექმნისა, ჯერ „მოქალაქეთა კავშირის“ ახალგაზრდული ფრთის რუპორი იყო, შემდეგ სააკაშვილის, „ნაცების“ და ქვეყნის მოღალატე არასამთავრობოების. ასეა დღემდე.

პატივცემული მკითხველის ყურადღება მინდა შევაჩერო საკითხზე, რომელიც იმდენად მნიშვნელოვანია საქართველოს საზოგადოებისთვის, რომ ზოგიერთმა დემოკრატიის დასამარებადაც აღიქვა.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ „რუსთავი 2“-ს 60%-ის წილის მესაკუთრედ ქიბარ ხალვაში, ხოლო 40%-ის – შპს „პანორამა“ ცნო, ამ გადაწყვეტილებით სააკაშვილის მიერ მიტაცებული ტელეარხი კანონიერ მფლობელს დაუბრუნდა.

როგორც იქნა საქმე დასრულდა, მაგრამ ბევრი გვინახავს დასრულებული საქმეები, რომლებიც დასრულების შემდეგაც, მრავალი თვის თუ წლის განმავლობაში წამლავს საზოგადოებას. კარგა ხნის მანძილზე ტელეეკრანზე მუდამ მყოფმა „რუსთავი-2“-ის გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ წააგო და მასთან ერთად სრულიად „ნაციონალურმა მოძრაობამ“.

საზოგადოებას დაამახსოვრდება ნიკა გვარამიას უტიფარი განცხადებები, მიმართული ხელისუფლების, მართლმსაჯულების და ქვეყნის ფაქტიური მმართველის (როგორც თვით გვარამია მოიხსენიებდა) ბიძინა ივანიშვილისადმი.

დამარცხებულმა „მხედართმთავარმა“, ქართველმა ლიბერალებმა და მათმა თაყვანისმცემელმა „ნაცებმა“, რომლებმაც თავი მოიყარეს „რუსთავი-2“-ის ეზოში და ღამეც იქ გაატარეს, „შეჰფიცეს“ სრულიად საქართველოს, რომ თავს არ დაზოგავენ დემოკრატიული ქართული მედიის გადასარჩენად. „დემოკრატიული“ კი მათი გაგებით ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ია.

ტელეკომპანიადაბრუნებულმა მეპატრონე ქიბარ ხალვაშმა განაცხადა, რომ არ აპირებს მის შენარჩუნებას და გაყიდვას გეგმავს, რაზეც უმალ უპასუხა გვარამიამ – ჩვენ, ანუ „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტები შევისყიდით ტელევიზიასო. ქიბარ ხალვაშმაც პასუხის პასუხი არ დააყოვნა და გვამცნო, რომ გვარამიასთვის ტელეკომპანიის მიყიდვა საკაშვილისთვის მიყიდვას ნიშნავს და ისიც დაუმატა, რომ სააკაშვილ-გვარამიამ სიცოცხლე გაუმწარეს და მათ სასარგებლო გადაწყვეტილებას არ მიიღებს.

ქიბარ ხალვაში რომ ტელევიზიას გაყიდის, საეჭვო არაა. ტელევიზიას სხვა პატრონი ეყოლება. როდის და ვინ, ამას დრო გვიჩვენებს.

როგორც „ნაციონალები“ და არასამთავრობოები წინასწარმეტყველებენ, ივანიშვილის ჩანაფიქრის განხორციელება დაასამარებს ქართულ დემოკრატიას და ისეთად აქცევს, როგორიც რუსეთია – ტოტალიტარული.

„რუსთავი-2“-ის ჟურნალისტებს, მათ მხარდამჭერ „ნაცებს“ და „ნაცთა“ მხარდამჭერ საზოგადოებას კარგად უნდა ახსოვდეთ შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს „რუსთავი-2“-ში შესული სახელმწიფო შემმოწმებლები, ტელეკომპანიის დასაცავად „დელისზე“ მივარდნილი გაბრიყვებული ხალხი და მაშინდელი მმართველი პარტიის „მოქალაქეთა კავშირის“ ახალგაზრდული ფრთის, ანუ გამბრიყვებლების გულზე მჯიღის ბრაგუნი – წმინდა ტაძარს გვინგრევს ხელისუფლება და ყველამ ერთად უნდა დავიცვათ თავისუფლებისა და დემოკრატიის სავანე „რუსთავი-2“-იო.

ისიც გემახსოვრებათ, თუ რა გადადგომა-გადმოდგომა მოჰყვა ხელისუფლების მცდელობას, შეემოწმებინა ტელეკომპანიის საფინანსო საქმიანობა. მაშინ ხელისუფლებამ უკან დაიხია, რითაც ნამდვილად შეარყია ქვეყნის დემოკრატიის საფუძვლები და ხელი დააფარა კორუფციას.

დემოკრატია, ჩემთვის და ბევრი ჩემნაირისთვის, სისპეტაკესთან ასოცირდება და არა ფულის გაფლანგვასთან. არადა, როგორც საქმეში ჩახედული პროფესიონალი სპეციალისტები მაშინ საჯაროდ აცხადებდნენ, ტელეკომპანიას დიდი ფული ჰქონდა მითვისებული, მაგრამ თავზე ხელი გადაუსვეს და ნაცვლად ის სპეციალისტები შერისხეს, ვისაც „რუსთავი-2“-ის კორუფციული ისტორია სააშკარაოზე უნდა გამოეტანა უტყუარი დოკუმენტების საფუძველზე.

რეაბილიტირებულმა და თავზეხელგადასმულმა ტელეკომპანიამ ახლებურად გაშალა ფრთები და ისე შეუტია ქვეყანას, უარესს რომ ვერ იფიქრებდა საქართველოს მოსახლეობა. რა სახის შოუები არ გავიდა ეთერში – ერთობ გამაღიზიანებელი, ზღვარსგადასული. განსაკუთრებული უტიფრობის ზეიმი იყო, წამყვანი გოგონას მიერ მოწვეული სტუმრის თვალში-თვალის გაყრა და „ჩამჭრელი“ კითხვის დასმა – რამდენი სანტიმეტრის სიგრძის ასო გაქვს?! და პასუხიც მშვიდი, დამაჯერებელი – 18 სანტიმეტრი.

„პარტიზანი მებაღის“ ნატა ფერაძის უტიფარი, ბოზბანდური განცხადებებიც ყველას გვახსოვს!.. ქუჩის მეძავთა ეს თვალსაჩინო წარმომადგენელი დღემდე ასე აგრძელებს...

ყველას ახსოვს ჟორჟოლიანის და სხვების ქარაფშუტული შოუები, გრიგოლიას პოლიტიკური გნიასი, „ჯულიეტოვნას“ (გაბუნიას), როგორც ხალხი უწოდებს მას, ამაზრზენი პოლიტიკური თოქ-შოუები და სხვა. გვახსოვს „ცისფერთა“ კეკლუცი, ქალად ქცეულ მამაკაცთა მიერ ტრადიციული ქართული წეს-ჩვეულებების აბუჩად აგდება, დაცინვა, ყოველივე ქართულის შეურაცხყოფა, უზრდელი გამოხტომები და რაც მთავარია, სიმართლის ნაცვლად, ტყუილისა და ცილისწამებისთ კორიანტელი.

ქართველი საზოგადოების, განსაკუთრებით ახალგაზრდობის გადაგვარების საქმეში „რუსთავი-2“-მა ფასდაუდებლად იღვაწა. ეს ის ტელევიზია იყო, რომელმაც თვალი დახუჭა და კრინტი არ დაძრა სააკაშვილის ხელისუფლების მიერ სადამსჯელო ოპერაციებზე არა მარტო მომიტინგეების, არამედ ტელეკომპანია „იმედის“ დარბევის და გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობიდან ორი ათეული რედაქციის უმოწყალოდ და ცინიკურად გამოყრის გამო. არც ქვეყნის მოღალატე არასამთავრობოებს ამოუღიათ ხმა ამ განუკითხაობის გამო.

„რუსთავი-2“ ყოველთვის მოიაზრებოდა „ნაცთა“ ტელევიზიად, მათი იდეების უცილობელ მხარდამჭერად.

ტელეკომპანია „რუსთავი-2“ და „ნაცური“ ხელისუფლება ისე გადაესკვნა ერთმანეთს, ძნელი გასარჩევი იყო – სად იყო ხელისუფლება და სად ჟურნალისტიკა. ერთი სიტყვით, „რუსთავი-2“ დღიდან შექმნისა, ჯერ „მოქალაქეთა კავშირის“ ახალგაზრდული ფრთის რუპორი იყო, შემდეგ სააკაშვილის, „ნაცების“ და ქვეყნის მოღალატე არასამთავრობოების. ასეა დღემდე.

„რუსთავი-2“ რომ საქართველოში აშშ-ის საელჩოს, ევროპარლამენტის, ევროკავშირის და ევროპის სახალხო პარტიის მხარდაჭერისა და მზრუნველობის საგანია, გასაკვირი არ არის, ვინაიდან ის შესანიშნავად ასრულებდა და ასრულებს მათ ფარულ დაკვეთებს – „ლგბტ“-ს მხარდასაჭერად, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ლაფში ამოსასვრელად, ერთნაირსქესიანთა ქორწინების გასა-PR-ავებლად და სხვა.

საქართველოში აშშ-ის ელჩის მხარდამჭერი განცხადება ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის დასაცავად ბევრის მეტყველია. დღევანდელი, გუშინდელი და გუშინწინდელი ელჩები მუდამ იცავდნენ „რუსთავი-2“-ს და იცავდნენ იმიტომ, რომ სწორედ ის იყო აშშ-ის იდეების საქართველოში გამტარებელი. ის იყო აშშ-ის მეხოტბე და ამ ქვეყნის პირველი მტრისა და მეტოქის რუსეთის მლანძღავი, გამქილიკებელი. ასეთს ვინ გაუშვებს ხელიდან?

ჰოდა, არც აშშ-ის ადმინისტრაცია – სახელმწიფო დეპარტამენტის სახით, გაუშვებდა ხელიდან ამ უძვირფასეს „ბაჯაღლოს“? სტრასბურგის სასამართლოს რამდენიმე წუთში მიღებული თავხედური გადაწყვეტილებაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვერდიქტის შეჩერების შესახებ ამის დადასტურებაა. აქედან გამომდინარე, ძნელია იმის თქმა, რამდენად შეიცვლება ტელეკომპანიის სარედაქციო პოლიტიკა ან საერთოდ შეიცვლება თუ არა. ყველაფერი დამოკიდებულია აშშ-ის საელჩოზე, აშშ-ის ადმინისტრაციაზე. შესაძლებელია, სარედაქციო მუშაობა ისეთივე დარჩეს, როგორიც აქამდე იყო, შეიცვლება მხოლოდ მეპატრონე, თუმცა მოდით ნუ გავუსწრებთ დროს და დაველოდოთ მოვლენების განვითარებას.

„რუსთავი-2“-ის დასაცავად „საპრეზიდენტო“ სიტყვა თქვა მარგველაშვილმა და ამ სიტყვით აშკარა მხარდაჭერა გამოხატა ტელეკომპანიის მიმართ. მან საზოგადოებას აუწყა, რომ „რუსთავი-2“ კომერცია კი არ არის, არამედ პოლიტიკაა და ხაზი გაუსვა იმას, თუ რა ნეგატიური შეფასება მოჰყვება ტელეკომპანიის საწინააღმდეგოდ აგორებულ ტალღას, რომ დასავლეთმა, რომელმაც ვიზალიბერალიზაცია გვარგუნა, შეიძლება აგვითვალწუნოს, ვინაიდან არადემოკრატიულად ვიქცევით.

ორიოდ სიტყვით იმ დემოკრატიის თაობაზე, რისი დაკარგვითაც „გვემუქრება“ პრეზიდენტი, „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტები, „ნაცმოძრაობა“ და არასამთავრობოები. ისინი დაჟინებით გვიმტკიცებენ – „რუსთავი-2“-ის დაქცევით ქვეყნის დემოკრატია დაიქცევა და საქართველო რუსეთს დაემსგავსება.

მაგრამ რაც შეეხება რუსეთს, შემიძლია ვთქვა, რომ ეს ქვეყანა (დემოკრატიის თვალსაზრისით) „ნაცების“ და მათი „ფანების“ ხელწამოსაკრავი ნამდვილად არ არის. და რატომ?

მსოფლიოს ვერც ერთი ქვეყანა ვერ დაიკვეხნის ხმის მიცემის ისეთ ელექტრონულ სისტემას, როგორიც რუსეთშია, სადაც ცენტრალური საარჩევნო კომისიის უზარმაზარ კედელზე დამონტაჟებულ ეკრანებზე აღიბეჭდება უკიდეგანო რუსეთის ნებისმიერ საარჩევნო უბანში ხმის მიცემის პროცედურა ონლაინ-რეჟიმში. თვით ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, ადამიანის უფლებათა ყოფილი დამცველი, ხელისუფლების კრიტიკოსი ქალბატონი პანფილოვაა, ხოლო კომისიის წევრებად არჩევნებში მონაწილე ყველა პარტიის წარმომადგენელია.

საკმარისია ერთხელ მაინც, რომელიმე სატელევიზიო არხზე გავიდეს რომელიმე ხელმძღვანელის ნეგატიური საქციელი, უმალ ხდება მასზე სახელმწიფო რეაგირება. სწორედ ამის შედეგია ის, რომ რუსეთის 5 გუბერნატორი – კორუფციაში მხილებული, სასჯელს იხდის და არა მარტო გუბერნატორი – მინისტრი, სამართალდამცველი და ა.შ.

ახლა რა ხდებოდა და ხდება „დემოკრატიულ“ საქართველოში?

სააკაშვილმა გადაჭამა მთელი ქვეყანა, ხალხს ცოცხის ტარიც არ აკმარა. და არც ერთ ტელევიზიას, მათ შორის „რუსთავი-2“-ს და არასამთავრობოებს, რომლებიც დღევანდელ ხელისუფლებას მწვავედ აკრიტიკებენ, ხმაც არ ამოუღიათ. მთელი 9 წლის განმავლობაში „ნაცურ“ ხელისუფლებაზე კარგის მეტი არაფერი თქმულა არც ერთ ტელეკომპანიაში. ბეჭდურ მედიაში კი ყველაფერი კეთდებოდა, რომ ხელისუფლების კრიტიკული მასალა არ დაბეჭდილიყო.

განა, ისაა დემოკრატია, აშშ-ის ელჩი რომ ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ს მხარს უჭერს და ხელისუფლებას თითს უქნევს? მოლდოვის ახალმა პრეზიდენტმა დოდონმა, რომელმაც მოლდოვის ჯარს აუკრძალა ქვეყნის საზღვართან გამართულ ნატოს სამხედრო წვრთნებში მონაწილეობა, დიდი აღშფოთება გამოიწვია მოლდოვაში ამერიკისა და რუმინეთის ელჩებში, რომლებმაც საყვედურით მიმართეს დოდონს. „თქვენ არავინ გეკითხებათ ჩვენ საშინაო საქმეებს და ნუ ერევითო“, – იყო დოდონის პასუხი. არის საქართველოში ვინმე დოდონისებურად რომ უპასუხოს აშშ-ის ელჩს? ეს არის დემოკრატია?

საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები იმასაც ვერ ახერხებენ, რომ ინტერვიუები არ მისცენ „რუსთავი-2“-ს. პირიქით, ნებისმიერი ჟურნალისტის დაძახილზე მირბიან გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად. იქნებ ვინმეს ჰგონია, რომ „რუსთავი-2“-სთვის ინტერვიუზე უარის თქმა ანტიდემოკრატიული ქმედებაა?

მაგალითი ავიღოთ აშშ-ის პრეზიდენტ ტრამპისგან. მან ამასწინანდელი პრეს-კონფერენციის დროს CNN-ის კორესპონდენტს კითხვა არ დაასმევინა – ცრუ, მატყუარა ტელევიზია ხართო. შემდეგ კი იმავე ტელევიზიისა და სხვა ტელეკომპანიების წარმომადგენლები თეთრ სახლში გამართულ ბრიფინგზეც არ შეუშვეს. ქართული „დემოკრატია“ მარტო „ლგბტ“-სთან მიმართებაში იცავს დემოკრატიას? არადა, ტრამპის მაგალითებიც რომ გასაზიარებელია, ავიწყდებათ.

და კიდევ ერთი რამ – ძალისმიერი გზით „რუსთავი-2“-თან ბრძოლა სასურველ შედეგს ვერ მოიტანს. შედეგი მაშინ იქნება, როდესაც სხვა ისეთი ტელევიზია გვექნება, რომელიც კონკურენციას გაუწევს მას, თანაც ისეთს, თვალი რომ ვერ მოაშორო და „რუსთავი-2“-ზე არ გადართო. ასეთად მე საზოგადოებრივი ტელევიზია მესახება, მაგრამ ახალი მენეჯმენტის მიერ გამჟღავნებული გაფრენილი აზრები მაფიქრებინებს, რომ კონკურენციას ადგილი არ ექნება, ყოველ შემთხვევაში, ერთი წლის განმავლობაში. შემდეგ რა იქნება, ღმერთმა უწყისს.

ომარ მარგველაშვილი.
პროფესორი.

დიმიტრი ქუმსიშვილი ნიდერლანდების სამეფოს ელჩს შეხვდა

სავაჭრო-ეკონომიკურ სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები და სამომავლო პარტნიორობის პერსპექტივა იყო პირველი ვიცე-პრემიერის, ფინანსთა მინისტრ დიმიტრი ქუმსიშვილისა და ნიდერლანდების სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის იოს დაუმას შეხვედრის ძირითადი თემები.

პირველმა ვიცე-პრემიერმა ნიდერლანდების სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს მადლობა გადაუხადა იმ აქტიური მხარდაჭერისთვის, რომელსაც ნიდერლანდების სამეფო უწევს საქართველოს, განსაკუთრებით, მნიშვნელოვანია ვიზალიბერალიზაციის პროცესში ჩვენი ქვეყნისთვის აღმოჩენილი დახმარება. როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, წარმატებულია თანამშრომლობა საქართველოსა და ნიდერლანდების სამეფოს ფინანსთა სამინისტროებს შორის ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა: ადამიანური რესურსების პოტენციალის გაუმჯობესება, საგადასახადო ადმინისტრირების სრულყოფა, სახელმწიფოს შიდა ფინანსური კონტროლის საკითხები.

ფინანსთა მინისტრმა ელჩს მიაწოდა ინფორმაცია ქვეყნის ეკონომიკაში მიმდინარე პოზიტიურ დინამიკასა და მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე, ასევე, საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმატებულ მისიასთან დაკავშირებით. საქართველოსა და ნიდერლანდების სამეფოს შორის პარტნიორობა, ასევე, ხაზგასასმელია სოფლის მეურნეობის განვითარების, კერძოდ, ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების რეაბილიტაციისა და წყალანირების პროექტების დაფინანსების მიმართულებით.

ნიდერლანდების განვითარების ფინანსური კომპანიის მხრიდან გამოთქმულია დაინტერესება ქვეყნის საფინანსო სექტორის განვითარებით და ლარში დენომინირებული ფასიანი ქაღალდის გამოშვებით. ნიდერლანდების სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის განცხადებით, საქართველოს აქვს გამორჩეული პირობები ბიზნესგარემოს თვალსაზრისით და ნიდერლანდების მთავრობა მომავალშიც აქტიურად გააგრძელებს საქართველოს მთავრობის მხარდაჭერას ქვეყნისთვის პრიორიტეტული სფეროების დასაფინანსებლად.

ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტი ხსნაა მთელი რეგიონისათვის

თურქეთის ტრანსპორტის მინისტრი ახმედ არსლანი დარწმუნებულია, რომ პროექტი რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს.

„ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტი დასრულების სტადიაზეა და ის ხსნა იქნება არამხოლოდ ყარსისთვის არამედ მთელი რეგიონისათვის. არ შეიძლება მხოლოდ ამ პროექტით ვიყოთ თვითკმაყოფილნი. ჩვენ დავაკავშირებთ ირდირს ნახიჭევანთან, ირანს — პაკისტანთან“, — აცხადებს მინისტრი. მისივე განმარტებით, 3 დღის წინათ როდესაც ის და ქვეყნის პრეზიდენტი პაკისტანში ვიზიტისას 10 ქვეყნის წარმომადგენელს შეხვდნენ, ერთ-ერთი მთავარი თემა ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა და სამომავლო გეგმები და პერსპექტივები იყო.

ევროპულ თემიდას თვალები კი აქვს ახვეული, მაგრამ ქართულ მედიას ეცნობა...

„რეპორტიორის“ შეკითხვებს უპასუხებს იურისტი ლია მუხაშავრია, რომელსაც ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოსთან (სტრასბურგი) ურთიერთობის დიდი გამოცდილება აქვს (2002 წლიდან დღემდე). ქალბატონი ლია ამჟამად 52 მიმდინარე საქმეს უძღვება და დაახლოებით 200 პირს წარმოადგენს აღნიშნულ სასამართლოში.

პირველი შეკითხვა, რა თქმა უნდა, „რუსთავი-2“-თან დაკავშირებულ სასამართლო გადაწყვეტილებას ეხება:

— რამდენად მოულოდნელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის მიერ მიღებულ განჩინებაზე სტრასბურგის სასამართლოს მორიგე მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება?

— გადაწყვეტილება მართლაც მოულოდნელი იყო. ევროპის სასამართლოს რეგლამენტის, ანუ ევროსასამართლოს წესების 39-ე წესის შესაბამისად, ასეთი გადაწყვეტილება გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა იქმნება ადამიანის სიცოცხლის ხელყოფის ან ადამიანის წამების აშკარა და რეალური საშიშროება. გამოიყენება მაშინაც, როცა ხდება ადამიანის ექსტრადიცია ერთი სახელმწიფოდან მეორეში და მიმღებ სახელმწიფოში მას ემუქრება ან სიკვდილით დასჯა, ან წამება.

ევროსასამართლო 39-ე წესით რომ ჩაერია იმ ტიპის დავაში, როგორიც „რუსთავი-2“-ის საქმეა, ეს მართლაც უპრეცედენტო შემთხვევაა, რომელიც პირველად მოხდა ამ სასამართლოს ისტორიაში.

— რის საფუძველზე მიიღო ზეოპერატიულად მორიგე მოსამართლემ „რუსთავი-2“-ის საქმის გამო უპრეცედენტო გადაწყვეტილება? ხომ ცნობილია, რომ დიდი პალატის განჩინება, ასე ვთქვათ, კანცელარიიდან არ გამოსულა, ანუ ოფიციალური დოკუმენტის სახით არც არსებობს.

— „მორიგე მოსამართლე“, ცოტა არ იყოს, ყბადაღებული ტერმინი გახდა. სასამართლო, 39-ე წესის რეალიზაციისთვის, უზრუნველყოფს, რომ 24-საათიან რეჟიმში ადგილზე იყოს ერთი მოსამართლე მაინც, რომელიც მსგავსი შემთხვევებისას დაუყოვნებლივ რეაგირებს. ასეთი მოსამართლე 3 მარტსაც იმყოფებოდა სასამართლოში. უფრო მეტიც: მოქმედი წესების თანახმად, აკრძალული არ არის სასამართლოსთვის მშობლიურ ენაზე მიმართვა, მათ შორის, მსგავს ექსტრაორდინარულ შემთხვევებშიც. ასეთ დროს ქართველ იურისტებს სთხოვენ, იყვნენ ადგილზე და დაუყოვნებლივ თარგმნონ შემოსული მასალა სამართალწარმოების ენაზე და მოსამართლეს მიაწოდონ სრულყოფილი ინფორმაცია.

— ამ წესის პრაქტიკული გამოყენების შემთხვევები არსებობს?

— იყო ასეთი შემთხვევები ჩემს პრაქტიკაში. ჩემს ერთ-ერთ საქმეზე დაახლოებით საათ-ნახევრის განმავლობაში მიიღეს გადაწყვეტილება. დამირეკეს და მითხრეს, ჩვენ აქ გვყავს ქართველი იურისტი, რომელიც მოსამართლესთან ერთად მუშაობს და, თუ რაიმე დოკუმენტის გამოგზავნა გსურთ, რომლის თარგმნა ვერ მოასწარით, აქვე ვათარგმნინებთ და საქმეს დავურთავთო.

როცა ექსტრემალურად ვითარდება მოვლენები, გამორიცხული არ არის, რომ ისეთ შემთხვევაში, როგორიც 3 მარტს იყო, ევროსასამართლოს ვერ მიაწოდონ სრულყოფილი დოკუმენტები. ამ დროს ევროსასამართლო დიდი ყურადღებით ეკიდება კონკრეტული ქვეყნის მედიაში გამოქვეყნებულ მასალებს და ხშირად იყენებს მათ იმისთვის, რათა გაერკვეს საქმის ვითარებაში.

ვფიქრობ, 3 მარტს მოსამართლე დაეყრდნო მედიაში გავრცელებულ მასალებს „რუსთავი-2“-ის მიმდინარე საქმეზე, რომელიც, წელიწად-ნახევარზე მეტია, აქტიურად განიხილება ჩვენს მედიაში. ევროპულ სასამართლოში მედიის პუბლიკაციები, უტყუარ ფაქტად თუ არა, გასაზიარებელ გარემოებად მიაჩნიათ.

ჩემი აზრით, 3 მარტს სასამართლოს ძალიან დიდად დაეხმარა ყველა ქართული მედიასაშუალება, რომელმაც თავის დროზე რაიმე მასალა გამოაქვეყნა „რუსთავი-2“-თან დაკავშირებით.

ათიოდე წლის წინათ, როცა სტრასბურგში ვიყავი, იურისტებმა, რომლებიც მოწმენი იყვნენ იმისა, თუ როგორი ინტენსიურობით ვაწვდიდი სასამართლოს მედიამასალებს, მითხრეს — ამაზე დრო არ დახარჯოთ, რადგან ჩვენი პრესსამდივნო ყველაფერს აგროვებს, რაც კი საქმეებთან არის დაკავშირებული და მოსამართლეს წარუდგენსო. შეიძლება ჩვენთან, საქართველოში, ყურადღება არავინ მიაქციოს იმას, რასაც მედიაში ლაპარაკობენ, რაც იწერება; იქ კი, სტრასბურგში, ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

— რაც 3 მარტს მოხდა, ჩვენი საზოგადოების დემოკრატიულობაზე მეტყველებს თუ ხელისუფლების მიერ ძალაუფლების უზურპაციის მაჩვენებელია?

— ჩემი ღრმა რწმენით, ეს არის დემოკრატიულობის ნიშანი, რადგან ასეთი ძლიერი მხარეები საქმის გადასაწყვეტად სასამართლოში თუ მიდიან, ეს, რა თქმა უნდა, დემოკრატიული და ცივილიზებული ურთიერთობის ფორმაა.

— შეიძლება თუ არა ამ საქმესთან დაკავშირებული შედეგის პროგნოზირება?

— პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ მომდევნო დღეების განმავლობაში, ვიდრე ეს განსაკუთრებული, დროებითი ღონისძიება მოქმედებს, მხარეები რა მასალებს, რა საბუთებს, როგორ არგუმენტაციასა და განმარტებას წარუდგენენ ევროსასამართლოს.

იმის მიხედვით, როგორ ინფორმაციასაც მიაწვდიან სტრასბურგში, სასამართლო ან გააგრძელებს ამ განსაკუთრებულ დროებით ღონისძიებას, ან შეაჩერებს, მაგრამ მხარეს, ამ შემთხვევაში — „რუსთავი-2“-ს, მოსთხოვს, რომ სასამართლოს მიერ დადგენილი განაცხადის მიხედვით, საგანგებო ფორმაში ჩამოთვლილი ყველა ის ინფორმაცია წარმოადგინოს, რომელიც მომჩივანს მოეთხოვება.

განხილვა კი გაგრძელდება ისე, როგორც ჩვეულებრივ ხდება.

სასამართლოსთან მხარეების ინტენსიური მიმოწერა გაგრძელდება, შეიძლება, დღეში ორ-სამჯერაც კი, რათა ორივე მხარისგან მიიღონ ისეთი ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია საქმის განსახილველად.

არმაზ სანეგლიძე.

P. S. რეგორც მოსალოდნელი იყო, საჯილდაო ასპარეზი და დიდი დაპირისპირება ევროპულ სივრცეში გადაინაცვლებს და ევროსასამართლოს გადაწყვეტილება დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რომელი მხარე იმუშავებს უფრო მაღალ პროფესიულ დონეზე და უფრო პრინციპული იქნება.

თემიდას სასწორის პინები ჯერჯერობით არც ერთ მხარეს არ არის გადახრილი, მაგრამ (მიაქციეთ ყურადღება!) საბოლოო გადაწყვეტილებას ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში შესულ საჩივარზე შესაბამისი კონვენციის ხელმომწერი იმ სახელმწიფოს მართლმსაჯულების სისტემის უმაღლესი ინსტანცია იღებს, რომელიც აღნიშნული ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით მოქმედებს.

ა. ს.

„ბავშვთა სამყაროს“ ხანძრით დაზარალებულებმა საკრებულოს თავმჯდომარისგან პრეზიდენტთან შუამდგომლობის პირობა მიიღეს

,,ბავშვთა სამყაროს“ ხანძრით დაზარალებულები თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილს შეხვდნენ.

დაზარალებულების განცხადებით, ალიგებაშვილმა უთხრა, რომ საკრებულო მათ, ფინანსების უქონლობის გამო, ვერ დაეხმარება და დაზარალებულებს ურჩია დასახმარებლად პრეზიდენტის სარეზერვო ფონდს მიმართონ.

დაზარალებულების თქმით, საკრებულოს თავმჯდომარისგან პირობა მიიღეს, რომ საკრებულო შუამავლის როლს შეასრულებს „ბავშვთა სამყაროს“ ხანძრით დაზარალებულებსა და „ბავშვთა სამყაროს“ დირექტორს შორის, რათა მათ სადაზღვევოს მიერ გადახდილი 6 მილიონიდან საკომპენსაციო თანხები მიიღონ. დაზარალებულების თქმით, თბილისის საკრებულოსთან აქციები გაგრძელდება.

„ბავშვთა სამყაროს“ დაზარალებულები უყურადღებობით გამწარდნენ!

„ბავშვთა სამყაროში“ გაჩენილი ხანძრის შედეგად დაზარალებულებმა თბილისის საკრებულოსთან საპროტესტო აქცია გამართეს. ისინი კარვების გაშლასაც გეგმავდნენ, თუმცა საპატრულო პოლიციამ მათ კარვების გაშლის უფლება არ მისცა. მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა, რამდენიმე ადამიანი ცუდად გახდა, გამოიძახეს სასწრაფო დახმარების მანქანები.

დაზარალებულები სახელმწიფოსგან დახმარებასა და მიყენებული ზიანის კომპენსაციას მოითხოვენ. აქციის მონაწილეთა განცხადებით, ხანძარმა მთელი მათი ქონება გაანადგურა. არც თბილისის მერი, არც პრეზიდენტი და არც პრემიერი მოთხოვნის მიუხედავად, არ ხვდებიან...

თემურ ბასილია:

პატრიარქი გაოცებული დარჩა,როდესაც გაიგო, რომ საპატრიარქოსთან დაკავშირებული კომპანიები გადასახადებს არ იხდიდნენ!..

ნაცებისგან გაძევებული ექსპერტი საქართველოში დაბრუნდა

„პატრიარქი საკმაოდ გაოცებული დარჩა, როდესაც გაიგო, რომ საპატრიარქოსთან დაკავშირებული კომპანიები გადასახადების სახით არ იხდიდნენ ბიუჯეტში დაახლოებით ას მილიონამდე ლარს“, — აცხადებს ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში თემურ ბასილია, რომლის განცხადებით, პატრიარქის ამ ინფორმაციით აშკარად ჩანდა, რომ საპატრიარქოსთან დაკავშირებული ბიზნესმენების მხრიდან ადგილი ჰქონდა არაკეთილსინდისიერ დამოკიდებულებას თავად საპატრიარქოს მიმართ.

თემურ ბასილია დღეს ჩვენი სტუმარია.

— ბატონო თემურ, რამდენად სწორია საუბარი მართლმადიდებელი ეკლესიის დაფინანსების გაუქმებაზე, მით უმეტეს, როდესაც როგორც ჩანს, ეკლესიის მსახურებს კომერციული საქმიანობისკენ გაუჩნდათ მიდრეკილება?

— მართლმადიდებლურ ეკლესიას დიდი წვლილი მიუძღვის ქართული ცნობიერების ჩამოყალიბებასა და შენარჩუნებაში. ამიტომაც, არ მიმაჩნია რაიმე პრობლემად, თუ ქართული სახელმწიფო ფინანსურ დახმარებას გაუწევს მას თავისი როლისა და ფუნქციის უკეთ შესასრულებლად. რაც შეეხება კომერციულ საქმიანობას, ჩემი აზრით, ამით მხოლოდ ბიზნესსექტორი უნდა იყოს დაკავებული.

— კითხვის ნიშნებს იწვევს საპატრიარქოსთან დაკავშირებული კომპანიების გადასახადების გადახდისგან განთავისუფლების საკითხი, მაშინ როდესაც, შევარდნაძის ხელისუფლების დროს მოხდა საპატრიარქოსთან დაკავშირებული კომპანიების გადასახადების გადამხდელებად დარეგისტრირება. როგორ ფიქრობთ, რატომ შეიცვალა გადაწყვეტილება?

— თქვენ სწორად აღნიშნეთ, სწორედ შევარდნაძის ხელისუფლების დროს მოხდა საპატრიარქოსთან დაკავშირებული კომპანიების გადასახადების გადამხდელებად დარეგისტრირება. 1992-94 წლებში, როდესაც ჯერ კიდევ საგადასახადო კოდექსი არ იყო შექმნილი, ბევრი ორგანიზაცია და დაწესებულება სხვადასხვა მექანიზმებით განთავისუფლდა გადასახადების გადახდისგან, მათ შორის იყო საპატრიარქოსთან და მის სამეურნეო სამსახურთან დაკავშირებული კომპანიებიც.

სწორედ ამ კომპანიებს შეიმოჰქონდათ სხვადასხვა პროდუქცია, მათ შორის, ნავთობპროდუქტები, სპირტიანი და ალკოჰოლური სასმელები, ლუდი, ნაყინი და ბევრი სხვა. ბიუჯეტი უზარმაზარ თანხებს კარგავდა, რაც იმ პერიოდში არსებული ჰიპერინფლაციის ერთ-ერთი მიზეზიც იყო. 1994 წლიდან დაიწყო ამ პრობლემების მოგვარება.

— ამ კომპანიების უკან იკვეთებოდა კონკრეტული ჯგუფების ბიზნენინტერესები?

— ცხადია, ყველა ამ განთავისუფლების უკან საკმაოდ ძლიერი ინტერესთა ჯგუფი იყო, რომლებსაც არ უნდოდათ გადასახადების გადახდა. დიდი წინააღმდეგობა იყო ე.წ. „წითელი დირექტორებისგან“, რომლებიც სხვადასხვა ხერხებით ცდილობდნენ მოეძებნათ გზები, რომ არ გადაეხადათ გადასახადები ბიუჯეტში. ცალკე უდიდესი პრობლემა იყო სიგარეტის იმპორტი, რომელსაც ერთ-ერთი ძალოვანი უწყება მფარველობდა. ასეთ ვითარებაში, ასეთ საგადასახადო შეღავათების პირობებში, შეუძლებელი იყო ქვეყანაში არა მხოლოდ ფინანსური სტაბილიზაციის მიღწევა, არამედ, საერთოდ, სახელმწიფო ინსტიტუტების მეტ-ნაკლებად გამართული მუშაობა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის ერთ-ერთი მისიის დროს პრეზიდენტ შევარდნაძესთან შეხვედრის დროს, დაისვა საკითხი, რომ აუცილებელი იყო ამ პრობლემის მოგვარება. პრეზიდენტი შევარდნაძე დაგვეთანხმა და განაცხადა, რომ ის მზად არის მომზადდეს შესაბამისი კანონმდებლობა, გაუქმდეს ყველა ასეთი ტიპის საგადასახადო შეღავათი და, რომ ყველა სახის ბიზნესმა სრულად გადაიხადოს ბიუჯეტში კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადი.

— რაც შეეხება საპატრიარქოსთან დაკავშირებულ ფირმებს?

— შევარდნაძემ გვითხრა, რომ ეს საკმაოდ მგრძნობიარე საკითხია და, რომ პატრიარქთან წინასწარი საუბრის გარეშე გაუჭირდება გადაწყვეტილების მიღება. სწორედ ამ მიზნით, პრეზიდენტმა გვთხოვა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის ხელმძღვანელს და მე შევხვედროდით პატრიარქს და აგვეხსნა უწმინდესისთვის ეს ვითარება და ერთად მოგვეძებნა გამოსავალი. ნამდვილად არ იყო ადვილად შესასრულებელი დავალება და ამიტომაც, მისიის ხელმძღვანელთან ერთად მოვილაპარაკეთ შესაძლო ვარიანტებზე.

პრეზიდენტთან საუბრის მომდევნო დღეს სავალუტო ფონდის მისიის ხელმძღვანელი და მე ვეწვიეთ პატრიარქს. საკმაოდ დეტალური საუბარი გვქონდა მასთან. როგორც აღმოჩნდა, პატრიარქს არ ჰქონდა სრული ინფორმაცია ამ პრობლემის შესახებ და იგი ძალიან შეწუხდა ჩვენგან მოსმენილი ინფორმაციით. მან მაშინვე, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე გვითხრა, რომ ეკლესია არ უნდა იყოს დაკავებული ასეთი საქმიანობით და მზად იყო დაევალებინა საპატრიარქოს სამეურნეო სამსახურისთვის, რომ მხოლოდ საეკლესიო საქმიანობასთან დაკავშირებული საქმეებით დაკავებულიყო.

პატრიარქი საკმაოდ გაოცებული დარჩა, როდესაც გაიგო, რომ საპატრიარქოსთან დაკავშირებული კომპანიები გადასახადების სახით არ იხდიდნენ ბიუჯეტში დაახლოებით ას მილიონამდე ლარს, მაშინ როდესაც, როგორც ამ შეხვედრაზე გაირკვა, ეს კომპანიები მხოლოდ სამ მილიონამდე ლარს ურიცხავდნენ საპატრიარქოს შემოწირულობის ფორმით. ჩვენც საკმაოდ გაოგნებულები დავრჩით პატრიარქის ამ ინფორმაციით. აშკარად ჩანდა, რომ საპატრიარქოსთან დაკავშირებული ბიზნესმენების მხრიდან ადგილი ჰქონდა არაკეთილსინდისიერ დამოკიდებულებას თავად საპატრიარქოს მიმართ.

— ანუ პატრიარქს არ ჰქონდა ინფორმაცია, რომ საპატრიარქოსთან დაკავშირებული კომპანიები გადასახადებს არ იხდიდნენ?

— ამ საუბრის დროს პატრიარქმა მკაფიოდ გვითხრა, რომ არც მას და არც ეკლესიას არ სჭირდება ასეთი მახინჯი სისტემის შენარჩუნება, რადგან ეკლესია ძირითადად, შემოწირულობებით უნდა არსებობდესო, მაგრამ როდესაც მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მძიმე პირობებში ცხოვრობდა, ამის იმედი ნაკლებად უნდა გვქონდესო. ასევე, მან აღნიშნა, რომ ასეთ პირობებში მართლმადიდებლურ ეკლესიას ძალიან გაუჭირდებოდა თავისი როლის შესრულება, მით უმეტეს, იმ პერიოდში საქართველოში შემოდიოდნენ სხვადასხვა რელიგიური ჯგუფები სერიოზული ფინანსებით.

მოკლედ, პატრიარქმა სრულად გაიზიარა ეს პრობლემა და გამოხატა მზადყოფნა მის მოსაგვარებლად. ერთადერთი რაც მას აწუხებდა — მართლმადიდებულური ეკლესია პრაქტიკულად ფინანსების გარეშე რჩებოდა. ჩვენ ავუხსენით პატრიარქს, რომ ჩვენი მიზანი ქვეყანაში ფინანსური წესრიგის დამყარება იყო და არ გვინდოდა, რომ ამ რეფორმით ქართული მართლმადიდებლური ეკლესია დაზიანებულიყო.

სწორედ ამ მიზნით ვკითხეთ პატრიარქს, როგორ შეხედავდა იმ ფაქტს, თუ საქართველოს მთავრობა საპატრიარქოსთვის ყოველწიურად გამოყოფდა ბიუჯეტში 3 მილიონ ლარს, ანუ საპატრიარქო მიიღებდა იმავე თანხას, რასაც ღებულობდა მასთან დაკავშირებული ფირმებისგან. ამ შეთავაზებაზე პატრიარქმა თანხმობა განგვიცხადა და შეხვედრის დასრულების შემდეგ, მიუხედავად ჩვენი თხოვნისა, რომ არ შეწუხებულიყო, პატივისცემის ნიშნად ავტომანქანამდე გამოგვაცილა.

საპატრიაქოში შეხვედრის შემდეგ, სავალუტო ფონდის მისიის ხელმძღვანელთან ერთად შევხვდით პრეზიდენტ შევარდნაძეს და მოვახსენეთ შეხვედრის შედეგები. მან მადლობა გადაგვიხადა ამ რთული და დელიკატური პრობლემის მოგვარებისთვის და გვთხოვა მოგვემზადებინა შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები.

ეს ცვლილებები მომზადდა, რომლის თანახმადაც, გადასახადებისგან თავისუფლდებოდნენ მხოლოდ საპატრიარქოსთან არსებული ის ორგანიზაციები, რომლებიც მხოლოდ საეკლესიო დანიშნულების საქმიანობით იყვნენ დაკავებულები, ყველა სხვა ორგანიზაციას ბიუჯეტში სრულად უნდა გადაეხადა კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადები. ეს ცვლილებები მოგვიანებით დაამტკიცა საქართველოს პარლამენტმა და მან კანონის სახე მიიღო.

— თქვენ ასევე ამბობთ, რომ, როგორც ჩანს, 2004 წლის შემდეგ შეიცვალა ეს წესი, რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს და რას გულისხმობთ?

— 2004 წლის იანვრამდე გახლდით პრეზიდენტის თანაშემწე და იმ პერიოდის განმავლობაში არ გამიგია, რომ საპატრიარქოსთან დაკავშირებული რომელიმე ფირმას არ გადაეხადა ბიუჯეტში გადასახადები. მხოლოდ, ბოლო პერიოდში წავიკითხე ქართულ პრესაში ამის თაობაზე, რამაც ზემოთ აღნიშნული ფაქტიდან გამომდინარე, საკმაოდ გამაკვირვა.

12 წელიწადზე მეტია, საქართველოში არ ვყოფილვარ და ამიტომაც, არ ვიცი რეალურად რა შეიცვალა, შესაძლოა, ის ძველი კანონი შეიცვალა, შესაძლოა, კანონი არ შეცვლილა, მაგრამ რაღაც სიტყვიერი თანხმობა იყო ხელისუფლების მხრიდან; შესაძლოა, ეს გამონაკლისი სააკაშვილის რეჟიმის დროს გააკეთეს, მისი მხარდამჭერი საეკლესიო პირების მიმართ... რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ ვარაუდებია, რეალურად კი, რასთან გვაქვს საქმე, ალბათ, ხელისუფლებამ და შესაბამისმა სტრუქტურებმა უნდა გაარკვიონ.

ესაუბრა
თამთა ქარჩავა

ეროვნულ ბანკსა და მთავრობას შორის პრობლემა უკვე აღმოფხვრილია

პარლამენტში გუშინ ეროვნული ბანკის შესახებ ცვლილებებს განიხილავდნენ. მთავრობის ინიციატივით, ეროვნულ ბანკს საზედამხედველო ფუნქციას უბრუნებენ. უმრავლესობის განმარტებით, ეს ინიციატივა იმით არის განპირობებული, რომ მმართველ გუნდსა და ეროვნულ ბანკს შორის არსებული პრობლემა უკვე აღმოფხვრილია.

„თანამშრომლობის პრობლემა, რომელიც არსებობდა ეროვნულ ბანკსა და მთავრობას შორის, უკვე აღმოფხვრილია და დღეს არის ნორმალური თანამშრომლობის რეჟიმი, რომელიც სჭირდება ქვეყანას და როგორიც უნდა იყოს ერთი და მეორე — საკითხი, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოში განიხილება უკვე ძალიან დიდი ხანია, პრაქტიკულად, სამართლებრივ ჩიხშია შესული და საჭიროა სამართლებრივი გადაწყვეტილების მიღება, რომ ფისკალურ და ეკონომიკურ სფეროში რაიმე შეფერხებები ამან არ გამოიწვიოს,“ — განაცხადა უმრავლესობის ლიდერმა არჩილ თალაკვაძემ.

ყველასგან მივიწყებულნი

ახალგორელების „ოსურ სახელმწიფოში“ ინტეგრაცია თუ წინასაარჩევნო „დათბობა“?

წინასაარჩევნო პერიოდი ის ჯადოსნური მომენტია მთელს პოსტსაბჭოთა სივრცეში, მათ შორის — კონფლიქტურ რეგიონებშიც, როდესაც ძლიერთა ამა ქვეყნისათა მოსახლეობის ყველაზე მეტად ჩაგრული, მიტოვებული და მივიწყებული ნაწილიც ახსენდებათ. სწორედ ამ დროს რიგდება, როგორც წესი, ერთჯერადი სოციალური დახმარებები, ნათდება ჩაბნელებული ქუჩები, იგება გზები, ისნება სხვადასხვა სოციალური ობიექტები, კიდევ უფრო ინტენსიურად გაისმის ნათელი მომავლის დაპირებები, აქა-იქ კი ლიტონი სიტყვების გასამყარებლად გარკვეული საკადრო ცვლილებებიც ხორციელდება. თუმცა ამ ყველაფრის ფასი და ის, თუ რამდენ ხანს გასტანს მმართველი ძალების წინასაარჩევნო სიკეთე, ყველგან და ყველამ კარგად გაითავისა.

ასე ხდება ყველასგან, თითქოს ღმერთისგანაც კი მივიწყებულ ახალგორის რაიონშიც, სადაც წინასაარჩევნოდ დე ფაქტო ხელმძღვანელი შეცვალეს. ოკუპირებული ე.წ. სამხრეთ ოსეთის „პრეზიდენტმა“ ლეონიდ თიბილოვმა ახალგორი სწორედ წინასაარჩევნოდ გაიხსენა. მან ადგილზე ჯერ საკუთარი ადმინისტრაციის წარმომადგენლები მიავლინა და მოსახლეობასთან შეხვედრების გამართვა დაავალა განსაკუთრებით მწვავე პრობლემების ათეულის გამოსავლენად, ხოლო შემდეგ ახალგორს თავადაც დასდო პატივი. მასთან შეხვედრაზე მოსახლეობა შერჩევითად მიიწვიეს, ყველა მსურველს თიბილოვთან გასაუბრების შესაძლებლობა არ მისცემია, თუმცა ბევრმა ეს თავადაც არ ისურვა: ნაწილმა — უიმედობის გამო, ნაწილმა — შემდგომში პრობლემების თავიდან ასარიდებლად.

ამ შეხვედრიდან გამოტანილი ინფორმაციის თანახმად, მოსმენილმა თიბილოვი იმდენად განარისხა, რომ რაიონის აწ უკვე ყოფილი დე ფაქტო ხელმძღვანელი ალექსეი ბოსიკოვი ყველას თანდასწრებით გაიცხა და განუცხადა, „შენც მოსახსნელი ხარ და ყველა შენი მოადგილეცო“. და მისი ამ განრისხების გულწრფელობას კაცი მართლაც დაიჯერებდა, რომ არა პრედისტორია: ბოსიკოვების წყვილი (ბოსიკოვის მეუღლეს აქ მასზე უფრო გავლენიანად მიიჩნევდნენ) რაიონს სამი წლის განმავლობაში მართავდა და მთელი ამ ხნის განმავლობაში მოსახლეობის მხრიდან შეტანილ საჩივრებს „რესპუბლიკის“ დე ფაქტო ხელმძღვანელობა ადგილობრივი მმართველების ქებით პასუხობდა, ახლა კი მოულოდნელად „თვალი აეხილა“.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, ადგილობრივები თვლიან, რომ რაიონის დე ფაქტო ხელმძღვანელის შეცვლა სწორედ მოახლოებულ „საპრეზიდენტო არჩევნებს“ უკავშირდება: ბოსიკოვით ახაგორელი ამომრჩევლის მომძლავრებულ უკმაყოფილებას შეეძლო, საარჩევნო შედეგზე ემოქმედა.

წინასაარჩევნო პერიოდსვე მიაწერენ ისინი თიბილოვის მიერ შეხვედრაზე გაკეთებულ განცხადებას, რომ რაიონში წამყვან თანამდებობებზე კადრების ცხინვალიდან მოწვევის პრაქტიკა იცვლება და ამიერიდან „სახელმწიფო“ სამსახურში ვაკანსიები ადგილობრივი მცხოვრებლებით შეივსება: **„უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ ადგილობრივ ბიჭებთან დავიწყოთ მუშაობა და სწორედ მათ დაიკავონ ესა თუ ის თანამდებობა რაიონში. გარდა ამისა, დაგეგმილი გვაქვს ადგილზე საბაჟო ქვედანაყოფის გახსნა, რომელიც ასევე საკუთრივ ლენინგორის (ახალგორის) რაიონის მცხოვრებლებით შეივსება“.**

რუს ანალიტიკოს ვლადიმირ ნოვიკოვის განცხადებით, ეს იმის სიგნალია, რომ „იწყება რაიონის მცხოვრებთა ინტეგრაცია სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოში“: **„მართალია, ლენინგორელთა (ახალგორელთა) უმრავლესობა ობიექტური მიზეზების გამო (ნათესაური კავშირები, ენობრივი პრობლემა და ა.შ.) საქართველოსთან კავშირს ვერ წყვეტს, მაგრამ თუ იქმნება სამხრეთ ოსეთისგან რაიონის მცხოვრებთა დე ფაქტო იზოლაციისა და მათი თვითიზოლაციის პრობლემა, რადგან ეს პროცესები ორმხრივი იქნება, ჩვენ უბრალოდ ვრისკავთ, მივიღოთ მტრული თემი სახელმწიფოს შიგნით. ამდენად, ის, რაზეც პრეზიდენტი თიბილოვი წავიდა, პოზიტიური ნაბიჯია. საჭიროა, ხალხი არა მხოლოდ შეურიგდეს იმას, რომ არსებობს ეს სახელმწიფო, რომლის წარმოქმნა ბევრ მათგანს არ უნდოდა და რომლის ტერიტორიაზეც აღმოჩნდნენ. საჭიროა მათი დარწმუნება იმაში, რომ გარკვეულწილად ეს მათი სახელმწიფოცაა. ეს მათთვის უცხო ტერიტორია არ არის“.**

თუმცა ოსი საზოგადო მოღვაწე ალან პარასტაევი თვლის, რომ ჯერ-ჯერობით რთულია საუბარი ლენინგორელების „რესპუბლიკაში“ ინტეგრაციაზე, რადგან არსებობს საყოველთაო ჩაკეტილობა, გაუბედავობა და მათაც თავისი მიზეზები აქვს: **„ისინი, ვისაც მოქალაქეობა არ გააჩნია, რესპუბლიკაში ფაქტობრივად უუფლებოდ იმყოფებიან, ნებისმიერ მომენტში შეიძლება დაკარგონ ბინადრობის უფლება და საზღვრისაკენ მიუთითონ, როგორც ეს არაერთხელ უკვე მომხდარა. ხოლო მათ, ვისაც მოქალაქეობა აქვთ, იგი უმეტესწილად უკანონოდ აქვთ მოპოვებული: მათ არ გაამხილეს, რომ შეინარჩუნეს საქართველოს მოქალაქეობა. ჯერ დაწერეს თბილისში განცხადება პასპორტის დაკარგვის თაობაზე და სანაცვლოდ ახალი მიიღეს, ხოლო ძველი, ვითომ დაკარგული დოკუმენტი სამხრეთ ოსეთში ჩააბარეს საქართველოს მოქალაქეობაზე უარის თქმისა და ოსურის მიღების შესახებ განაცხადთან ერთად. სურვილის შემთხვევაში ამ თაღლითობის გამოვლენა მარტივია. ყველა, ვინც თბილისში გადის, ქართულ პასპორტს ფლობს, რადგან ოსურით საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ვერ შევა. თუმცა ოსური ხელისუფლება თავს იკატუნებს, თითქოს ვერაფერს ამჩნევს, ორი პასპორტის მფლობელები კი ამას ხვდებიან და იმასაც აცნობიერებენ, რომ ნახევრადლეგალურ მდგომარეობაში არიან. სრულიად გასაგებია, რომ ისინი არალეგალებივით იქცევიან — ცდილობენ, ყურადღება არ მიიპყრონ, ანუ მათგან ცუდი „მოქალაქეები“ გამოდიან. ეს არანორმალურია, როდესაც მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ასეთ მდგომარეობაში იმყოფება და ამ საკითხს უნდა მიეხედოს“.**

პარასტაევის აზრით, „ან ორმაგი მოქალაქეობა უნდა დაკანონდეს, ან სხვა რამ მოიფიქრონ, მაგრამ ის, რომ ამ მიმართულებით არაფერი კეთდება, ფაქტია, რადგან ხალხი იქ (ახალგორის რაიონში) თავს სამხრეთ ოსეთის მოქალაქეებად არ თვლის“: **„ინტეგრაციის საკითხის გადაჭრა თავიდანვე უნდა დაგვეწყო, როგორც კი კონტროლი დავამყარეთ ამ რაიონზე. ამის მაგივრად ამ ყველაფერს რაიონის ერთი ხელმძღვანელიდან მეორეს მხრებზე ვაგორებდით. ეს არის ნახევრადლეგალური არსებობის, ერთ ფეხზე დგომის საკითხი და ის ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა გადავჭრათ. ეს არ არის მხოლოდ იქაური მოსახლეობის ცხოვრების დონის საკითხი, ეს ჩვენი სახელმწიფოს შედგომა-არშედგომის თემაცაა“.**

წინასაარჩევნო კამპანიის დროს გამართულ შეხვედრაზე თიბილოვი დაჰპირდა ახალგორელებს, რომ მათ „სამხრეთ ოსეთის მოქალაქეობის“ მიღების შესაძლებლობა მიეცემოდათ ისე, რომ საქართველოს მოქალაქეობის ფლობაზე „თვალს დახუჭავდნენ“. ორმაგ მოქალაქეობას ამას ვერ უწოდებ, რადგან საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან შესაბამისი შეთანხმებები არ არსებობს, თუმცა ფაქტობრივად სწორედ ეს გამოდის.

„ეს ნაბიჯი ხალხს ჩრდილიდან გამოსვლისა და თავის სრულფასოვან მოქალაქეებად გრძნობის შესაძლებლობას მისცემდა“, — თვლის ალან პარასტაევი.

საინფორმაციო საagენტო „აქცენტი“

ავსტრალიაში ბბამ ფერი შეიცვალა

მეცნიერები უცნაურ მოვლენას ჰაერის მაღალი ტემპერატურით და მცირენალექიანობით ხსნიან. ანალოგიური პრეცედენტები ესპანეთში, კანადასა და სენეგალშიც რამდენჯერმე დაფიქსირდა.

შოტლანდიაში რეფერენდუმი მომავალ წელს გაიმართება

შოტლანდიაში დამოუკიდებლობის საკითხზე კიდევ ერთი რეფერენდუმი 2018 წლის შემოდგომაზე გაიმართება. ამის შესახებ შოტლანდიის პირველმა მინისტრმა ნიკოლა სტერჯენმა განაცხადა. მისივე თქმით, რეფერენდუმი შესაძლოა, მანამდე ჩატარდეს, ვიდრე დიდი ბრიტანეთი ევროკავშირს საბოლოოდ დატოვებს. შოტლანდიის საკითხზე რამდენიმე დღის წინ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმაც ისაუბრა. ტერეზა მეის განცხადებით, სამეფოს სამეფოს შემადგენლობაში შოტლანდიის შენარჩუნება მისთვის პრიორიტეტული საკითხია.

პენტაგონს რუსეთთან თანამშრომლობა ეკრძალება

ამერიკის კონგრესი პენტაგონს „როსობორონექსპორტთან“ თანამშრომლობას უკრძალავს. 2017 წლის ბიუჯეტი წარმომადგენელთა პალატამ უკვე დაამტკიცა. სამხედრო ხარჯებისთვის წელს 578 მილიარდია გამოყოფილი. მთავარ საფინანსო დოკუმენტში ნათქვამია, რომ პენტაგონს რუსეთიდან სამხედრო აღჭურვილობების შეძენა მანამდე ეკრძალება, სანამ რუსეთი სირიის ხელისუფლების შეიარაღებას არ შეწყვეტს და ყირიმიდან ჯარებს არ გაიყვანს.

უსამა ბენ ლადენის ოჯახი მსოფლიოში ყველაზე მაღალ ცათამბჯენს აშენებს

საუდის არაბეთში მსოფლიოს მასშტაბით ყველაზე მაღალი ცათამბჯენის მშენებლობა გრძელდება. ცათამბჯენის სახელი Jeddah Tower იქნება, რაც „სამეფო კოშკს“ ნიშნავს. პროექტის მიხედვით, Jeddah Tower-ის სიმაღლე 1 კმ-ზე მეტი, ანუ 1008 მეტრია.

თავდაპირველი გეგმის თანახმად, Jeddah Tower-ის სიმაღლე 1600 მეტრი უნდა ყოფილიყო, თუმცა გრუნტის შესწავლის შედეგად, გეოლოგებმა დაასკვნეს, რომ 1600-მეტრიან შენობას არსებული გრუნტი ვერ დაიჭერდა. აღსანიშნავია, რომ ცათამბჯენის შემკვეთი და ხელმძღვანელი ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ადამიანია — საუდის არაბეთის პრინცი ალ-ვალიდ იბნ თალილ იბნ აბდელ აზიზ ალ საუდი. მშენებლობას კი კომპანია Saudi Binladin Group ახორციელებს, რომელიც ერთ დროს მსოფლიოს პირველი ტერორისტის, „ალ ყაიდას“ ლიდერის უსამა ბენ ლადენის ოჯახის კუთვნილებაა. უნდა აღინიშნოს, რომ დღეისათვის მსოფლიოში ყველაზე მაღალი შენობა Burj Khalifa-ია, რომლის სიმაღლეც 830 მეტრია.

ამერიკის პირველი ლედის პოპულარობა იზრდება

ამერიკის პირველი ლედის რეიტინგი იზრდება. სოციოლოგიური გამოკითხვა ტელეკომპანია სიენენმა ჩაატარა. გამოკითხვის შედეგებით, მელანია ტრამპის მიმართ დადებითად რესპონდენტთა 52 პროცენტია განწყობილი. ტრამპის ინაუგურაციამდე ეს მაჩვენებელი მხოლოდ 39 პროცენტს შეადგენდა.

აბუ-დაბიში საავტომობილო ნომერი №10 2,7 მლნ დოლარად გაიყიდა

ექსკლუზიური საავტომობილო ნომერი - №10 აბუ-დაბიში აუქციონზე გაიყიდა და მასში მყიდველმა 10 მლნ დირჰამი, ანუ 2,7 მლნ დოლარი გადაიხადა. მყიდველის ვინაობა გასაიდუმლოებულია. საინტერესო დეტალი: აუქციონზე აღნიშნული ლოტის საწყისი ღირებულება 1000 დირჰამი იყო

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

საფინიშო რაზმი

ესპანეთიდან დაბრუნებულმა ბორჯღალოსნებმა „რაგბი ევროპის“ პირველობის ბოლო ორი მატჩის წინ ოდნავ გადაიხალისეს რაზმი — ტურნირის ფინიშზე ერთპიროვნული ლიდერი საქართველო 12 მარტს რუსეთს უმასპინძლებს, ხოლო 19 მარტს რუმინეთს ეწვევა.

მილტონ ჰეიგის განკარგულებაში 31 მორაგბეა — 14 უკანახაზელი და 17 მორკინალი. დაგვემატა სამი გამოცდილი ლეგიონერი — მამუკა გორგოძე, მიხო ნარიაშვილი და ზურა ჟვანია. შალვა მამუკაშვილი კლუბში მიბრუნდა, ესპანეთთან თავგამოჩენილი ახალბედა სოსო მათიაშვილი კი „შვიდკაცამ“ იხმო.

ჰეიგმა დაადასტურა, რომ ამ რაზმით ვეთამაშებით როგორც რუსეთს, ასევე რუმინეთს.

მწვრთნელი კმაყოფილია ყველა ახალგაზრდის ზრდა-დაოსტატებით და ტურნირის ბოლო ორ მატჩშიც გეგმავს მათზე დაკვირვებას.

მილტონის აზრით, „ნდობა გაამართლა უკლებლივ ყველა ახალბედამ და ჩინებულადაც გამოიყენა შანსი, რათა მწვრთნელებისთვის მოეწონებინა თავი უნარ-ჩვევებით.

ერთი კია, დასკვნითი ორი თამაშისთვის რომ უპრიანია გამოცდილ ლიდერთა დამატება, მაგიტომ ვიხმეთ მიხო და მამუკა.

ზურა ჰუქერად შეცვლის შალვას, რადგან ეს ახალ კლუბში — „ტულონში“ — მედ-ჯოკერია და მისი გათავისუფლება გვმართებდა.

დაშავებულ შარიქაძეს ყოველდღიურად ვაკვირდებით. მერაბი ცოტათი მოკეთდა, მაგრამ შეძლებს თუ ვერა თამაშს, ეგ კვირის ბოლოსკენ გამოჩნდება“, — დასძინა მილტონ ჰეიგმა.

რუსეთთან რკენა, ტრადიციული შაბათის ნაცვლად, კვირასაა პაიჭაძის სახელობის „დინამო არენაზე“, და 18 საათზე იწყება.

კობა კობახიძე

◎ ჩოგბურთი

ბასილაშვილი კინგს დაუპირისპირდება

საძართველოს პირველი ჩოგანი ნიკოლოზ ბასილაშვილი ინდიანა უელსის მასტერსის პირველ წრეში ბარბადოსის წარმომადგენელ დარიან კინგს დაუპირისპირდება. ნიკოლოზის მეტოქე მსოფლიოს რეიტინგში 131-ე ადგილზეა და წყვილში ფავორიტი ბასილაშვილია.

ისინი ერთმანეთს აქამდე არ შეხვედრიან. კინგი ნიკოლოზის მსგავსად თამაშობდა საკვალიფიკაციო ეტაპზე, სადაც მე-20 ნომრად იყო განთესილი. დარიანმა ნოა რუბინი და მიხაილ კუკუშკინი დაამარცხა, ჩვენმა თანამემამულემ კი ავსტრალიელი ებდენი და ყაზახი ბუბლიკი.

აღნიშნული დაპირისპირება 10 მარტს თბილისის დროით დილის 2 საათზეა ჩანიშნული და გამარჯვებული 1/32-ფინალში მსოფლიოს მე-11 ჩოგან გაელ მონფისს დაუპირისპირდება.

ბადრი იაშვილი

◎ ლეგიონერი

დვალიშვილის გუნდმა მორიგი შეხვედრა მოიგო

კალათბურთში რუსეთის პრემიერლიგის მონაწილე „ნოვოსიბირსკმა“, რომლის რიგებშიც ქართველი მძიმე ფორვარდი აკაკი დვალიშვილი თამაშობს, სტუმრად ეკატერინბურგის „ურალს“ 72:68 მოუგო. დვალიშვილმა მოედანზე დაახლოებით ექვსი წუთი გაატარა და 2 ქულა დააგროვა. 22 ტურის შემდეგ 16 მოგებითა და 6 წაგებით ციმბირული კლუბი მე-2 ადგილზეა.

23-ე ტურში, რომელიც 14 მარტს ჩატარდება, „ნოვოსიბირსკი“ იჟევსკის „როდნიკს“ უმასპინძლებს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ სწავლა სიბერემდე

ძიუდოს ქართველი მწვრთნელები საგამოცდო მაგიდებს მიუსხდნენ

საძართველოს ძიუდოს ფედერაცია მწვრთნელთა მომზადების პროგრამას ახალი ეტაპით აგრძელებს. ფედერაციის ფეისბუქ-გვერდის ცნობით, თბილისში ჩამოვიდნენ ძიუდოს საერთაშორისო აკადემიის წარმომადგენლები: საერთაშორისო ფედერაციის სპორტული დირექტორი დანიელ ლასკაუ, კურსის მთავარი ინსტრუქტორი ტიბორ კოზლა, აკადემიის ინსტრუქტორები მარკ ჰუიზინგა, ენვიკ გალეა და პიერო კომინო.

მათი თანდასწრებით ოცდაათმა ქართველმა მწვრთნელმა თეორიული საგამოცდო ტესტები ჩააბარა და უკვე ერთკვირიანი პრაქტიკული სემინარი დაიწყო. მომდევნო კვირაში გამოცდაზე კიდევ 40 ქართველი სპეციალისტი გავა. ის მწვრთნელები კი, რომლებმაც ძიუდოს საერთაშორისო აკადემიაში თეორიული და პრაქტიკული გამოცდები შარშან წარმატებით ჩააბარეს, უკვე აკადემიის მეორე კურსზე სწავლობენ.

გეჟან დოლიძე

◎ ფეხბურთი

სარვამარტო, თანაც - პირველი

ცნობილი ისტორიაა: როცა სწორუპოვარი მიხეილ მესხის ფეხბურთიდან გასაცილებელი მატჩი დასრულდა, ურუგვაის „ნასიონალის“ წარმომადგენლები გაოცებისგან მხრებს იჩეჩავდნენ — თუ ასეთი დიდოსტატი მწვანე მინდორს ემშვიდობება, უკეთესმა ვინღამ უნდა ითამაშოსო.

რა იცოდნენ სამხრეთამერიკელმა სტუმრებმა, მტკვრისპირელ გარინჩას ამ გადაწყვეტილების მიღებაში ზოგ-ზოგიერთები რომ „დაეხმარნენ“...

რატომღაც, აღნიშნული ფაქტი გამახსენდა, „ბარსელონასა“ და „პარი სენ-ჟერმენის“ ძლევაი საკვირველი რომ დამთავრდა.

მოგეხსენებათ, კატალონიელთა თავკაცმა ლუის ენრიკემ ამას წინათ განაცხადა, მიმდინარე სეზონის შემდეგ კლუბიდან მივდივარ და ჩემი შემცვლელი ეძებეთო. საკითხავია, ასეთი სპორტული გმირობის ჩამდენს ემოციურ ფონზე წამოსროლილი ჩანაფიქრი არ უნდა გადაათქმევინონ?

„ბარსელონა“ — „პსჟ“ 6:1

(პირველი მატჩი 0:4)

გოლები: სანჩესი, კურზავა (საკუთარ კარში), მესი, ნეიმარი (2), სერხიო რობერტო; კავანი.

ევროტურნირებს აქამდე სულ სამი შემთხვევა ახსოვდა, როცა რომელიმე გუნდმა მეტოქეს ოთხგოლიანი დეფიციტი აღმოუფხვრა, მაგრამ ანგარიში 4:0, თანაც ჩემპიონთა ლიგაში, პირველად ამოქაჩეს.

ნიშანდობლივია, რომ მასპინძელთა ზღაპრული გამარჯვება მაშინ გამოიჭედა, როცა უნაი ემერის შეგირდებმა, ერთი შეხედვით, წარმატებით გადაჭრეს მესის განეიტრალების საკითხი და გენიალური არგენტინელი ორრაუნდიან დუელში მხოლოდ ერთადერთ გატანილ პენალტს დასჯერდა. „ბლაუგრანას“ ღირსება სწორედ ლიდერთა ფართო არჩევანშია — კრიტიკულ ვითარებაში სოლისტობა ნეიმარმა იტვირთა, რომელსაც ხშირად საყვედურობენ, მასზე გაცემულ ავანსებს ვერ ამართლებსო. სიმბოლურია, ბრაზილიელი რომ გაუძღვა სასწაულისკენ პარტნიორებს და დუბლთან ერთად „ოქროს“ ტოლფასი შედეგიანი გადაცემა მიითვალა.

როგორც ყოველთვის, დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა გერმანელი დენიზ აიტეკინის მსაჯობას. მართლაც, რამდენიმე ეპიზოდში მან სადავოდ ჩასტვინა (ან არ ჩასტვინა), მაგრამ არა მგონია, ამით რაიმე გავლენა მოეხდინა საბოლოო შედეგზე. უფრო კი სტუმრებმა ასეთი ფიასკო საკუთარ თავს უნდა დააბრალონ.

დიახ, როცა ჩემპიონთა ლიგის ფავორიტობაზე გაქვს პრეტენზია და პირველი შეხვედრის შემდეგ ზურგს კოლოსალური უპირატესობა გიმაგრებს, საკუთარ ავტორიტეტსა და გულშემატკივრებს გაცილებით მეტად უნდა მოუფრთხილდე.

„დორტმუნდი“ — „ბენფიკა“ 4:0

გოლები: ობამეიანგი (3), პულიშიჩი.

(პირველი მატჩი 0:1)

„ნაპოლი“ — „რეალი“ 1:3

გოლები: მერტენსი; რამოსი (2), მორატა.

(პირველი მატჩი 1:3)

„არსენალი “ — „ბაიერნი“ 1:5

გოლები: უოლკოტი; ლევანდოვსკი, რობენი, კოშტა, ვიდალი (2).

(პირველი მატჩი 1:5).

გიორგი ფოთაძე

◎ ინტერნეტიდან

ფერი ფერსაო - ელზა და რივალდო

ელიზა კალმინსკი ფერეირა ათ წელზე მეტია, რაც ლეგენდარული ბრაზილიელი მობურთალის — რივალდოს ცოლია, მაგრამ ამ ქალზე ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ საზოგადოებისათვის დიდად ცნობილი პერსონაა და ძალიან უნდა მოინდომოთ, რომ ბულვარულ მედიაში მასზე ინფორმაციას გადააწყდეთ.

დავიწყოთ იმით, რომ თავად რივალდოა ერთობ თავმდაბალი და სიწყნარეს მიჩვეული ადამიანი და, როგორც ჩანს, ცოლიც მას ჰგავს და სულაც არ ესწრაფვის „ყვითელი“ მედიის ინტერესს. ამას გარდა, რივალდოს ვარსკვლავობიდან უკვე დიდი დროა გასული და მივიწყების მსახვრალი ხელი, როგორც ჩანს, რივალდოს ცხოვრებასაც გადაეფარა.

რაც შეეხება ბრაზილიელი ფეხბურთელის ცოლს — ელზა კალმინსკი ფერეირა ბრაზილიაში გადასახლებული პოლონელი ემიგრატების შთამომავალია, რომელიც ხელობით ექთანი გახლავთ, მოწოდებით კი მეოჯახე. როგორც რივალდო ერთ-ერთ ძველ ინტერვიუში ამბობდა, მოჭარბებული ტრავმიანობის დროს სწორედ ელზა იყო ის ადამიანი, რომელიც მას, ცოლობის გარდა, სამედიცინო კუთხითაც ეხმარებოდა.

როსტომ რაჭველიშვილი

მაღალმთიან საკურორტო ზონებში პირველადი სამედიცინო მომსახურების სისტემის შექმნა ძალიან იგვიანებს!

მაღალმთიან სოფლებში პირველადი სამედიცინო დახმარების მიღება ისევ პრობლემად რჩება. მიუხედავად ხელისუფლების არაერთი დაპირებისა და განცხადებისა, ბევრ სოფელში პირველადი ჯანდაცვის ობიექტები კვლავ არ არსებობს, იქ კი, სადაც ფუნქციონირებს, მედიკამენტებს ექიმები ყიდულობენ, აპარატურა კი საერთოდ არც აქვთ, არ არის არც აფთიაქი.

პრობლემებია თუშეთში, ხევსურეთსა და აჭარის მაღალმთიან სოფლებში. თუშეთის ერთადერთ სამედიცინო პუნქტს, რომელიც სოფელ ომალოშია განთავსებული, არც გენერატორი აქვს და არც მზის ბატარეა. ექიმი ირაკლი ხვედაგურიძე ამბულატორიაში სანთლის შუქზე მუშაობს. დენის მუდმივი წყაროს გარეშე სამედიცინო პუნქტში ბევრი აუცილებელი მედიკამენტის და პრეპარატის შენახვა შეუძლებელია.

„საჭიროა ტეტანუსის შრატიც და ანტიგიურზინიც: თუშეთში საკმაოდ მომრავლებულია ქვეწარმავლები. ფიქალის ქვის შეგროვებისას გველი ძალიან ხშირად ხვდებათ, მაგრამ შრატის და ანტიგიურზინის შენახვის საშუალება ომალოს ამბულატორიაში არა გვაქვს. ამ პრეპარატების შესანახად სპეციალური ტემპერატურული რეჟიმი და მაცივარია საჭირო. უშუქობის გამო მაცივარი არ გვაქვს. ამიტომ ამბულატორიაში ძირითადად ისეთი მედიკამენტები გვაქვს, რომელთა მაცივარში შენახვაც არ არის საჭირო. გენერატორს არ ვითხოვ, მას საწვავი და დიდი ხარჯი სჭირდება. ვიცი, რომ ქვეყანას უჭირს და წუწუნი უხერხულია. მაგრამ ასეთ პირობებში მუშაობაც ძალიან მიჭირს: პაციენტს ნაკერს და თაბაშირს სანთლის შუქზე ვადებ“, — განუცხადა „მთის ამბებს“ თუშეთის ექიმმა, 75 წლის ირაკლი ხვედაგურიძემ, რომელიც თუშეთის ერთადერთი ექიმია. ის ომალოს ამბულატორიაში 2010 წლიდან მუშაობს.

85 კილომეტრის სიგრძის გადამცემი ხაზის დაზიანების გამო თუშეთის სოფლებს 1988 წლის შემდეგ ელექტროენერგია აღარ მიეწოდება. ერთადერთი მცირე ჰესი მხოლოდ სოფელ შენაქოშია და ამჟამად ისიც გაჩერებულია. „მთის ამბები“ თუშეთში ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელს ლადო კახოიძეს დაუკავშირდა. კახოიძე აცხადებს, რომ გამგეობა პრობლემას მოაგვარებს და 2017 წლის ზაფხულისთვის ომალოს ამბულატორიას მზის ბატარეები ექნება.

ამ საკითხზე ჯანდაცვის სამინისტროსაც დავუკავშირდით. როგორც ჯანდაცვის დეპარტამენტის პოლიტიკის სამმართველოს უფროსმა ქეთი გოგინაშვილმა განაცხადა, სოფელ ომალოში სოფლის ექიმი და სოფლის ექთანი 47 მოსახლეს ემსახურება. მისივე განცხადებით, იმის გამო, რომ საქართველოს მთიან რეგიონებში მოსახლეობა მცირერიცხოვანია და ამასთან, მეჩხერადაა განლაგებული, სოფლის ექიმის გუნდის გამოყოფა არ არის დაკავშირებული ბენეფიციართა რაოდენობასთან (>2000 - <2600), როგორც ეს საერთაშორისო ნორმებითაა განსაზღვრული . ამასთან, მისივე თმით, სახელმწიფო უზრუნველყოფს მოსახლეობის უფასო ვაქცინებით უზრუნველყოფას, ასევე, სამედიცინო დახმარების და რიგი მედიკამენტების მიწოდებას მათთვის.

„კომერსანტი“ დაინტერესდა, თუ როგორი სიტუაციაა ამ მხრივ საქართველოს სხვა მაღალმთიან რეგიონებში. აღმოჩდა, რომ მაღალმთიან აჭარაში, კერძოდ კი ხულოს მუნიციპალიტეტ „მთის უბანში“ მსგავსი სახის პრობლემა დგას. აფთიაქის აუცილებლობაზე და მისი არარსებობით გამოწვეულ პრობლემებზე საუბრობს ბარისახოს ერთადერთი ექიმიც.

„მთის უბნის“ ერთ-ერთმა მკვიდრმა „კომერსანტთან“ საუბრისას განაცხადა, რომ ამბულატორიული მომსახურება საერთოდ არაა და ამ თემაზე მათთან არავის უსაუბრია.

„ამბულატორიული მომსახურების თვალსაზრისით ჩვენ სოფელში ძალიან ცუდი მდგომარეობაა, რადგან „მთის უბანში“ დახმარების ცენტრი საერთოდ არ არსებობს. ამ თემასთან დაკავშირებით ჩვენთან არავის უსაუბრია. ჩვენთან თემში ექიმი შაბათ-კვირას გვემსახურება, ხოლო 80-90%-ი ბათუმით სარგებლობს. ვისაც შესაძლებლობა აქვს, თბილისსა და თურქეთში მიდის,“ — განაცხადა „მთის უბნის“ მკვიდრმა.

პირაქეთა ხევსურეთში, ბარისახოში ერთი ამბულატორიაა. ამბულატორიაში 2 ექიმი და 2 ექთანია. ისინი 34 სოფელს ემსახურებიან. „კომერსანტი“ ამბულატორიის ხელმძღვანელს ლელა გაბურს ესაუბრა. მისი განცხადებით, აფთიაქის არსებობა ბარისახოში აუცილებელია, რადგან პერიოდულად წამლებით საკუთარი სახსრებით ამარაგებს ამბულატორიას.

„21-ე საუკუნეში წარმოუდგენელია ის, რომ აფთიაქი არ ფუნქციონირებს. ამბულატორიას წამლებით პერიოდულად საჭიროების შემთხვევაში საკუთარი ხელფასის ხარჯზე ვავსებ. ეს წამლები საკმარისი არაა. ჩვენი მხარე ტურისტული რეგიონია და აფთიაქი აუცილებელია. ამ თემაზე მუშაობა დავიწყე და ერთიერთი ცნობილი სააფთიაქო ქსელის მენეჯერთან აფთიაქის გახსნაზე დავსვი საკითხი, თუმცა მითხრეს, რომ ეს მათთვის არამომგებიანი იქნებოდა. სხვა სააფთიაქო ქსელიც იმავეს მეტყოდა. აქ საჭიროა სახელმწიფოს ნება. შესაძლოა, იყოს წამგებიანი, მაგრამ, რადგან მოსახლეობას სჭირდება, ვინმემ კეთილი ნება უნდა გამოჩინოს“, — განაცხადა ლელა გაბურმა.

როგორც ამბულატორიის ხელმძღვანელი ჩვენთან საუბრისას აცხადებს, მას არსებული პრობლემის მოგვარების იმედი აქვს. გაბურის თქმით, ამ საკითხზე ჯანდაცვის სამინისტროსაც გაესაუბრება: **„ბევრი საკითხი, რომელიც მე წამოვჭერი, შედეგიანად დასრულდა და ახლაც ვიმედოვნებ, რომ გარკვეულ საკითხებს ბოლომდე მივიყვან. გარდა აფთიაქისა, მჭირდება ლაბორატორია ელემენტარული ანალიზების გასაკეთებლად. ჩვენთვის რენტგენის აპარატი ძალიან ძვირი სიამოვნებაა“,** — განაცხადა გაბურმა.

რაც შეეხება სხვა რეგიონების მაღალმთიან სოფლებს, პირველადი სამედიცინო დახმარების მიღების საკითხი მეტნაკლებად მოგვარებულია რაჭაში, ყაზბეგსა და სვანეთში. თუმცა ამბულატორია ყველა სოფელში არ არის და, შესაბამისად, სამედიცინო დახმარების მიღებისთვის მოსახლეობა ექიმთან ვიზიტზე მეზობელ სოფელში მიდის ან ექიმს სახლში იძახებს.

რატომ ვერ ხერხდება პირველადი სამედიცინო სერვისების მიწოდება მაღალმთიანი მოსახლეობისთვის და, საერთოდ, რა თანხა იხარჯება ბიუჯეტიდან სოფლებში ამბულატორიების შენახვაზე, აღნიშნული საკითხის გასარკვევად „კომერსანტმა“ ჯანდაცვის სამინისტროს მიმართა. როგორც უწყებაში განაცხადეს, „სოფლის ექიმის პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 26 მლნ. ლარს. ეს პროგრამა სოფლის მოსახლეობისთვის პირველადი ჯანდაცვის სერვისების მიწოდებასთან ერთად, ითვალისწინებს სპეცდაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით დამატებითი ღონისძიებების განხორციელებას (6.2 მლნ).“

ჯანდაცვის დეპარტამენტის პოლიტიკის სამმართველოს უფროსმა ქეთი გოგინაშვილმა განაცხადა, რომ საქართველო სრულად მოცულია სოფლის ექიმისა და ექთნის მომსახურეობით, ამბულატორიები კი ზოგ სოფელში ადმინისტრაციულ შენობებშია განთავსებული.

„ამჟამად სამინისტროში მიმდინარეობს სოფლად სამედიცინო პერსონალის განაწილება საქართველოს სტატისტიკის სამსახურის მიერ ჩატარებული მოსახლეობის აღწერის 2015 წლის მონაცემებზე დაყრდნობით და მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ ერთეულებად ახალი დაყოფის გათვალისწინებით. ასევე, მოთხოვნილია ინფორმაცია ადგილობრივი თვითმმართველობიდან სოფლებს შორის მანძილის თაობაზე“, — განაცხადა გოგინაშვილმა.

ლიკა გურაბანიძე

რა ფაქტორები მოქმედებს ქალთა კარიერულ წინსვლაზე

საქართველოში პირველი ფართომასშტაბიანი კვლევა ჩატარდა, რომელმაც ქალების კარიერულ წინსვლაზე მოქმედი ფაქტორები შეისწავლა.

ქვეყნის მასშტაბით 1 350 ქალი გამოიკითხა და შედეგების თანახმად, საქართველოში მცხოვრები ქალების 49 % საკუთარი პროფესიით არ მუშაობს.

— გამოკითხულ ქალთა 20% დაუსაქმებლობას შვილების აღზრდით ხსნის. კვლევის თანახმად, ქალთა პოპულაციაში დაბალია თვითშეფასების უნარი. გამოკითხული ქალების 14% მიიჩნევს, რომ მამაკაცის გონებრივი შესაძლებლობები ქა- ლისას აღემა- ტება და პრო- ფესიული საქ- მიანობის შესრულებისას გადაწყვეტილების მიღება უჭირს, განსაკუთრებით საჯარო სექტორში დასაქმებულ ქალებს. კარიერული წინსვლის საჭიროებებად კვლევის მონაწილე პირები უცხო ენების შესწავლას, კომპიუტერული უნარ-ჩვევების გაუმჯობესებას, თვითრწმენის გამყარებას და კომუნიკაციის უნარის გაუმჯობესების საჭიროებას ასახელებენ.

გამოკითხვისას ქალებს სამსახურში განცდილი ძალადობის შესახებაც მოუწიათ შეკითხვაზე პასუხის გაცემა. კერძო სექტორში დასაქმებული ქალების 21%, ხოლო საჯარო სექტორში დასაქმებული ქალების 8% შეკითხვას — განგიცდიათ თუ არა სიტყვიერი, ფიზიკური ან სქესობრივი ძალადობა სამსახურში — დადებითად პასუხობს.

ასევე, გამოკითხულ ქალთა 32% მიიჩნევს, რომ მათი პროფესიული კარიერა მამაკაცად დაბადების შემთხვევაში უკეთ წარიმართებოდა.

ქალების გამოკითხვა მონაცემთა კვლევის ჯგუფმა (DRG) 2016 წლის ოქტომბერში დაიწყო და 2017 წლის თებერვალში დაასრულა.

სემეკი „ყაზტრანსგაზ თბილისისთვის“ ტარიფებს 24 ივლისამდე დაადგენს

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ (სემეკ) 9 მარტის საჯარო სხდომაზე შპს „ყაზტრანსგაზ თბილისისათვის“ ბუნებრივი გაზის მიწოდების, განაწილების, გატარებისა და მოხმარების ტარიფების დადგენის მიზნით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ იმსჯელა. კომისიაში წინადადებების წარდგენის ბოლო ვადად განისაზღვრა მიმდინარე წლის 6 აპრილი, ხოლო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების ბოლო ვადად - მიმდინარე წლის 24 ივლისი.

ამავე სხდომაზე დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიისთვის“ ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ტარიფების დადგენის თაობაზე. კომისიაში წინადადებების წარდგენის ბოლო ვადად დასახელდა მიმდინარე წლის 6 აპრილი, ხოლო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების ბოლო ვადად — მიმდინარე წლის 28 ივლისი.

მიმდინარე წლის 6 აპრილის 18:00 საათამდე ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა კომისიაში წარადგინოს მოსაზრებები შპს „ყაზტრანსგაზ თბილისისა“ და შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიისთვის“ ტარიფების დადგენასთან დაკავშირებით. დაინტერესებული პირი უფლებამოსილია მოსაზრებების წარდგენისას არ მიუთითოს თავისი ვინაობა.



ყაჩაღური თავდასხმა სამეგრელოში

ყაჩაღური თავდასხმა მარტვილის რაიონის სოფელ ნაგვაზაოში ხუთშაბათს გვიან ღამით მოხდა.

რამდენიმე ნიღბიანი, შეიარაღებული პირი ჩიხლაძეების სახლში შეიჭრა. ხანდაზმული ორი ქალბატონიდან ერთ-ერთმა წინასწარი ინფორმაციით, თავდამსხმელებს წინააღმდეგობა გაუწია, რის შემდეგაც ის მოკლეს. მძიმედ არის დაჭრილი მეორე ქალბატონი, ის საავადმყოფოშია გადაყვანილი.

ს.ს.ი.პ - გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი № 1

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ-ფოსტა	Licenziebi2015@gmail.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	ხალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით. ბ) ლიცენზიის მფლობელმა შესასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობის ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს. გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით, „საქართველოს ტყის კოდექსით", „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N242 დადგენილებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვემო მაკვანეთის მიმდებარე ტერიტორია, მდ. აჭისწყლის ქვიშა ხრეის გამოვლისება (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 36 900 მ³).
7	ხალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვემო მაკვანეთის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	5 999 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	599,9 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი ხალიცენზიო მოსაკრებელი	3 200 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 13 მარტს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 10 აპრილს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და	ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 10 აპრილს დღის 12:00
	დასრულების დრო და თარიღი	საათზე და დასრულდება 2017 წლის 10 აპრილს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	2 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი № 2

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ-ფოსტა	Licenziebi2015@gmail.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	ხალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით. ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია მძიმეწონიანი კონკრეტით დატვირთული მანქანების გადაადგილება განახორციელოს არა გელათის სამონასტრო კომპლექსთან მისასვლელი საავტომობილო გზით, არამედ ალტერნატიული გზით. გ) სატრანსპორტო საშუალების თითოეულ წამყვან ან არაწამყვან ღერძზე მაქსიმალური დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს „საავტომობილო გზების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის „ა" ქვეპუნქტით განსაზღვრულ სიდიდეს - 10 ტონას (გარდა ერთწამყვანღერძიანი ავტოსატრანსპორტო საშუალებისა, რომლის წამყვან ღერძზე მაქსიმალური დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 11,5 ტონას). დ) მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის ბუფერულ არეალში შეზღუდულია მძიმე ტექნიკის მოძრაობა შემდეგი სპეციფიკაციით: სამუშაო დღეებში 10:00 საათიდან 19:00 საათამდე, ხოლო არასამუშაო და უქმე დღეებში მძიმე ტექნიკის მოძრაობა აღნიშნულ ტერიტორიაზე აკრძალულია. ე) დაუშვებელია ობიექტის აფეთქებითი მეთოდით დამუშავება. ვ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ჰიდრომეტრიულად მაღალი ნიშნულიდან დაბლისაკენ, ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმის წესების და ნორმების დაცვით. ზ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით. თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გასცეს თანხმობა, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო"-ს მიერ სალიცენზიო მიწის ნაკვეთის განკარგვის შემთხვევაში. ი) ლიცენზიის მფლობელმა მოქალაქეებს არ უნდა შეუზღუდოს სალიცენზიო ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება. კ) ლიცენზიის მფლობელმა შესასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობის ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს. ლ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). მ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით, „საქართველოს ტყის კოდექსით", „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N242 დადგენილებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ტყიბულის მუნიციპალიტეტი, სოფ. გელათის მიმდებარე ტერიტორია, გელათის კირქვის (სამშენებლო) გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 87 500 მ³).
7	ხალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ტყიბულის მუნიციპალიტეტი, სოფ. გელათის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	10 000 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	1 000 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი ხალიცენზიო მოსაკრებელი	5 200 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 13 მარტს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 10 აპრილს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 10 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 10 აპრილს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	10 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი № 3

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ-ფოსტა	Licenziebi2015@gmail.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	ხალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით. ბ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით. გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის ორმხრივი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები. დ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების პერიოდში თუ საფრთხე შეექმნება მაგისტრალური გაზსადენის ფუნქციონირებას, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეწყვიტოს მოპოვებითი სამუშაოები, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლო ზიანზე პასუხისმგებლობა დაეკისრება ლიცენზიანტს. ე) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობის ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს. ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ზ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. ახალი სამგორის მიმდებარე ტერიტორია, „ახალი სამგორის" თიხა-თიაბაშირის (გაჯი) საბადო (კატეგორია - B+C₁, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 71 136 ტონა).
7	ხალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. ახალი სამგორის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	19 842 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	1 984,2 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი ხალიცენზიო მოსაკრებელი	10 121 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 13 მარტს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 10 აპრილს დღის 18:00 საათზე

	და თარიღი	
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 10 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 10 აპრილს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	20 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
	ობიექტი № 4	
	ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	სს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	Licenziebi2015@gmail.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით. ბ) ობიექტის დამუშავების პროცესში მოხსნილი ნიადაგის ფენა უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით. გ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობის ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს. დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ბოლნისის მუნიციპალიტეტი, სოფ. რაჭისუბნის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ბოლნისისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოელინება (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 6000 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ბოლნისის მუნიციპალიტეტი, სოფ. რაჭისუბნის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	1044 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	104.4 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	722 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 13 მარტს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 10 აპრილს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 10 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 10 აპრილს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	1 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
	ობიექტი № 5	
	ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	სს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	Licenziebi2015@gmail.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით. ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადაბურული ავტომობილებით, შემოვლითი გზებით და არა სოფლის საავტომობილო გზების მეშვეობით, რათა თავიდან იქნეს აცილებული სოფლის საავტომობილო გზის დაზიანება და მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში. გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, დაზიანების შემთხვევაში, უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული საავტომობილო გზის აღდგენა. დ)ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობის ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს. ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ვ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ციხისძირის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ქსანზე, „ციხისძირის" ქვიშა-ხრეშის საბადო (კატეგორია - C1, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 33 900 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ციხისძირის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	5 160 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	516 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	2 780 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 13 მარტს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 10 აპრილს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 10 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 10 აპრილს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	3 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
	ობიექტი № 6	
	ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	სს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	Licenziebi2015@gmail.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით. ბ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით. გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გასცეს თანხმობა, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო"-ს მიერ სალიცენზიო მიწის ნაკვეთის განკარგვის შემთხვევაში. დ) ლიცენზიის მფლობელმა მოქალაქეებს არ უნდა შეუზღუდოს სალიცენზიო ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება. ე) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობის ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს. ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ზ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით, „საქართველოს ტყის კოდექსით", „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N242 დადგენილებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. აღაიანის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ქსანთან, „აღაიანის" ქვიშა-ხრეშის გამოელინება (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 96 600 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. აღაიანის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	12 953 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	1295,3 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	6 677 ლარი
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან; ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას; გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები
		(დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის აცილით ან მის გარეშე; დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი; ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის თავმორთულობის მოწესრიგება და მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება. ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ქალაქი ქუთაისის, თამუკაშვილის ქუჩა N74 ბ, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 1 825 მ³/წელიწადში).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ქალაქი ქუთაისის, თამუკაშვილის ქუჩა N74 ბ.
8	აუქციონის საწყისი ფასი	59 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	5,9 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	230 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 13 მარტს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 10 აპრილს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 10 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 10 აპრილს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	25 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი № 21		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	Licenziebi2015@gmail.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან; ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას; გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის აცილით ან მის გარეშე; დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი; ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის თავმორთულობის მოწესრიგება. ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ქალაქი ქარელი, ეკა-ფშაველას ქუჩა, N41, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 2 190 მ³/წელიწადში).
7	სალიცენზიო ობიექტის	ქალაქი ქარელი, ეკა-ფშაველას ქუჩა, N41

	ადგილმდებარეობა	
8	აუქციონის საწყისი ფასი	71 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	7,1 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზე (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	236 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 13 მარტს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 10 აპრილს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 10 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 10 აპრილს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	25 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი № 22		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230775
3	ელ–ფოსტა	Licenziebi2015@gmail.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოუებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან; ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას; გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის აცლით ან მის გარეშე. დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი; ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭაბურღილის თავმორთულობის მოწესრიგება. ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ქალაქ გორში, ცხინვალის გზატკეცილის მიმდებარე ტერიტორიაზე, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 7 300 მ³/წელიწადში).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ქალაქ გორი, ცხინვალის გზატკეცილის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	236 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	23,6 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზე (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	318 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 13 მარტს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 10 აპრილს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 10 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 10 აპრილს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	25 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი № 23		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	Licenziebi2015@gmail.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოუებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან; ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას; გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის აცლით ან მის გარეშე. დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი; ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭაბურღილის თავმორთულობის მოწესრიგება და შემოღობვა. ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ქალაქ ქუთაისი, ხუნდაძის ქუჩა, N51-ის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 1095 მ³/წელიწადში).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ქალაქი ქუთაისი, ხუნდაძის ქუჩა, N51 ის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	35 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	3,5 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზე (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	218 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 13 მარტს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 10 აპრილს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 10 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 10 აპრილს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	25 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი № 24		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230775
3	ელ–ფოსტა	Licenziebi2015@gmail.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოუებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან; ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას; გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის აცლით ან მის გარეშე. დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი; ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭაბურღილის თავმორთულობის მოწესრიგება, მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება და შემოღობვა.

		ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის აითვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ბოლნისის მუნიციპალიტეტი, სოფ. მწყნეთის მიმდებარე ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 3000 მ³/წელიწადში).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ბოლნისის მუნიციპალიტეტი, სოფ. მწყნეთის ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	97 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	9,7 ლარი
10	უპირობო და გამოუბმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	249 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 13 მარტს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 10 აპრილს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 10 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 10 აპრილს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	25 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი №25		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 0312307 25
3	ელ-ფოსტა	Licenziebi2015@gmail.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოსათხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დამონტაჟოს, მეკეთოს, შეინახოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დასადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქციონებული) ჩარევისაგან; ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას; გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დასადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქციონებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის აცლით ან მის გარეშე; დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი; ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭაბურღილის თავმორთულობის მოწესრიგება, მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება და შემოღობვა. ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის აითვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ქალაქი ახალციხის მიმდებარე ტერიტორიაზე, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 120 000 მ³/წელიწადში).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ქალაქი ახალციხის ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	3 879 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	387,9 ლარი
10	უპირობო და გამოუბმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	2 140 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 13 მარტს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 10 აპრილს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 10 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 10 აპრილს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	25 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

„ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲘᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘ ᲘᲛᲐᲨᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲣᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ“

2025 წლამდე ეკონომიკის განვითარების პროგრამის მზადების ფარგლებში სოხუმში აფხაზ მეწარმეებთან შეხვედრა გაიმართა. პროგრამაზე მსჯელობის პროცესში მეწარმეებმა თავის ყველაზე აქტუალურ პრობლემებზე ისაუბრეს.

თავად პროგრამა აფხაზეთის დე ფაქტო ეკონომიკის სამინისტროს მიერ რუსული კონსალტინგური კომპანია „სთრათეჯი ფართნერს გრუფის“ სპეციალისტების ხელშეწყობით მუშავდება. მოცემულ ეტაპზე სამუშაო ჯგუფმა მებოსტნეობის, მებაღჩეობისა და თევზის რეწვის განვითარების სტრატეგიები წარმოადგინა.

თავის მხრივ, მეწარმეებმა აფხაზეთში ამა თუ იმ კულტურების მოყვანის პერსპექტივები შეაფასეს და ისაუბრეს პრობლემებზე, რომელიც სოფლის მეურნეობის განვითარებას აფერხებს.

კერძოდ, მეწარმე **ჯამალ ეშბამ** სოფლის სამეურნეო ტექნიკის დეფიციტზე გაამახვილა ყურადღება და რამდენიმე, მისი შეფასებით, მნიშვნელოვანი პრობლემა ახსენა:

„ჩვენი მიწების მოსახნავად 120-130 ცხენის ძალის მქონე ტრაქტორებია საჭირო. შესყიდული ტრაქტორების სიმძლავრე კი მხოლოდ 80-ია. მათ მძლავრ ტექნიკას ვერ ჩააბამ. ისინი კულტივაციისა და გარკვეული საქალაქო სამუშაოებისთვისაა საჭირო. რუსეთში არსებობს გარკვეული სუბსიდიები და დოტაციები, ჩვენთანაც რომ რაიმე მსგავსი იყოს, დღეს სრულიად განსხვავებული სოფლის მეურნეობა გვექნებოდა. კიდევ ერთი პრობლემა წამლებისა და შხამქიმიკატების კუთხით არსებული მდგომარეობაა. მათ კრასნოდარის მხარეში ყიდიან, თანაც ვადაგასულებს. წესით, მათ უნდა ანადგურებდნენ, ჩვენები კი ყიდულობენ, მერე ეტიკეტს უცვლიან და ჩვენ ამით ვწამლავთ. შედეგი, ცხადია, ნულოვანია“.

თუმცა სოფლის მეურნეობის დე ფაქტო მინისტრი **დაურ ტარბა** ეშბას არ ეთანხმება. ამბობს, რომ აფხაზეთის ყველა რაონში არის ბაზა და ტრაქტორების პარკი 82 ერთეულს ითვლის. არის ისეთი მძლავრი ტრაქტორებიც, როგორიცაა „კ-700“ და „ბელარუსი“. თუმცა ტექნიკა ხშირად უმოქმედოდ დგას შეკვეთების არარსებობის გამო. ნებისმიერ მეწარმეს შეუძლია, დაწეროს განაცხადი, და საჭირო სამუშაო შესრულდება.

ხელისუფლებაც, მეწარმეებიც და კონსალტინგური კომპანიის სპეციალისტებიც თანხმდებიან იმაზე, რომ ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული პრობლემა აფხაზეთის სოფლის მეურნეობისთვის იაფი და გრძელვადიანი კრედიტების დეფიციტია.

გიორგი ალხაზოვი ბერძენია, რომელიც აფხაზეთში დაიბადა და აქვე გატარა ახალგაზრდობა. შემდეგ საბერძნეთში წავიდა. ხუთი წლის წინათ დაბრუნდა, რათა ბიზნესი წამოეწყო. პრობლემების შესახებ შემდეგს ყვება:

„თუ ფერმერს არ დაეხმარები, ბიზნესი მოუკვდება, ისე, როგორც ახლა ჩემი კვდება. აქ 1,5 მლნ ევრო ჩამოვიტანე, მიწაში ჩავდე, ჩემს სამშობლოში და არავინ გამომიწოდა დახმარების ხელი, არც კი დაინტერესებულან, რას ვაკეთებ აქ. მე ბერძნული მარწყვი მომყავს ოჩამჩირის რაიონში. ჩვენი სირთულეები იმაში მდგომარეობს, რომ აფხაზეთში ფული არ გვაქვს. უბრალოდ მოგვცენ ფული და გვიკონტროლონ. მომეცით ერთი მილიონი და სახელმწიფოს ოთხს მოვუტან. აი, ესაა ჩემი ძალა“.

თურქმა ინვესტორმა მეჰმეთ შაჰიმმა სახსრები სასათბურე კომპლექსში ჩადო, რომელშიც წელიწადში 250 ტონამდე ტომატის მოყვანაა შესაძლებელი. იგი ყვება:

„ჩვენ ავირჩიეთ აფხაზეთი, რადგან გვერდზეა რუსეთის ფედერაცია და შეესაძლებელია რუსულ ბაზარზე გასვლა. მოგვწონს მიწა, არის თერმული წყაროები, ნახშირი, რომელიც შესაძლებელია, სათბურების გასათბობად გამოვიყენოთ. აქ ფასები ბევრად დაბალია, ვიდრე თურქეთში, და რუსული ბაზარიც გვერდზეა. თუ ვისაუბრებთ ჩვენს პრობლემებზე, ერთ-ერთი მთავარი რუსეთ-აფხაზეთის საზღვარია. ჩვენ მოგვყავს პროდუქცია და როდესაც საზღვარზე საბუთებს ვავსებთ, რუსი მებაჟეები გვეუბნებიან, რომ მთელი ტვირთი უნდა გადმოვტვირთოთ, ხოლო შემდეგ ისევ ჩავტვირთოთ. როგორც იცით, როდესაც ტემპერატურა იცვლება, პროდუქცია ფუჭდება“.

და მაინც, შაჰიმი ფარ-ხმალს არ ყრის, იმედოვნებს, რომ მოგებას მიიღებს, შეძლებს ბიზნესის გაფართოებას და სათბურების გათბობის სისტემის მზის ელემენტებზე გადაყვანას.

ekhokavkaza.com

ᲕᲐᲙᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ ᲗᲝᲤᲣᲠᲘᲐᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ ᲡᲐᲒᲖᲐᲝ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲡ ᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲡ

ᲕᲐᲙᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ ᲗᲝᲤᲣᲠᲘᲐᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ ᲡᲐᲒᲖᲐᲝ ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲡ ᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲡ. მიმდინარე საგზაო სამუშაოები ვაკის რაიონის გამგებელმა ნოდარ ტურძელაძემ დაათვალიერა, ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა და მათი პრობლემებიც მოისმინა. საგზაო პროექტის ფარგლებში, თოფურიას ქუჩაზე მოხდება ტროტუარებისა და გზის სავალი ნაწილის რეაბილიტაცია, ახალი ბორდიურების დამონტაჟება და ასფალტის საფარის დაგება. გზის განახლება თოფურიას ქუჩის გარდა, მიმდებარე ტერიტორიაზე კიდევ ორ მონაკვეთზე დაიწყო. კერძოდ, გზის შეკეთება VII კვარტლის 21-ე და 22-ე კორპუსებთან მისასვლელ გზებზე მიმდინარეობს. სარეაბილიტაციო სამუშაოებს, ვაკის რაიონის გამგეობის დაკვეთით, შპს „ჯეო სერვისი“ აწარმოებს.

◎ ნივთების ისტორია

ჩიკლეტიდან საღეჭ რეზინამდე

მექსიკის ძველი ბინადარნი პირის ღრუს საპოტილიას ხის წვენით ისუფთავებდნენ, რომელსაც „ჩიკილიას“ უწოდებდნენ. ამერიკის შეერთებული შტატების მცხოვრებლები კი ცხვირს უბზუებდნენ სამხრეთელ მეზობელთა ამ „ბარბაროსულ ჩვევას“ მე-19 საუკუნეების შუახანებამდე და უპირატესობას თამბაქოსა და რბილი ცვილის ფირფიტების ღეჭვას ანიჭებდნენ.

მიუხედავად ამისა, თანამედროვე საღეჭი რეზინის იდეა მაინც ამერიკელ **თომას ადამსს** ეკუთვნის. 1860-იან წლების მიწურულისთვის მან მექსიკის პრეზიდენტის ლოპეს დე სანტას პირადი ფოტოგრაფობა მოასწრო, სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ ნიუ-იორკში გაიქცა და მეხიკოდან ჩამოტანილი საქონლით ვაჭრობა დაიწყო. ერთხელ საქონლის ახალ პარტიაში ჩიკლეს რამდენიმე პატარა კასრი აღმოჩნდა. დე სანტამ საზრიან ადამსს ამ ხის წვენის რამეში გამოყენებაზე დაფიქრება ურჩია. თავდაპირველად, ადამსი ჩიკლესა და რეზინის ნაზავისგან ურმებისთვის უხმაურო ბორბლების გაკეთებას ამაოდ ცდილობდა, მერე კი მისგან ფირფიტის ფორმის საღეჭი რეზინა დაამზადა, რომელიც ხასხასა ჭრელ ქაღალდში შეფუთა და „**ადამს ნიუ-იორკი №1**“ დაარქვა.

საღეჭი რეზინის საცდელი პარტიის რეალიზება ადამსის უფროს ვაჟიშვილს მიანდეს, რომელიც მდინარე მისისიპზე გემის მებუფეტე იყო. მას შემდეგ, რაც ახალი საქონლის ყიდვა არავინ არ ისურვა, უმცროსმა ადამსმა მისი ნავმისადგომებზე თამბაქოს ჯიხურებში უფასოდ დარიგება დაიწყო... ვიდრე შვილი ნიუ-იორკში დაბრუნდებოდა, მამამ ახალ საქონელზე უამრავი შეკვეთა მიიღო, შტატ ჯერსიში მაშინვე საამქრო იქირავა, დე სანტა მთავარ მომმარაგებლად დაინიშნა და რეზინის მასობრივი წარმოება დაიწყო.

ეს ამბავი 1869 წელს მოხდა. ათი წლის შემდეგ კი ოჰაიოელმა ექიმმა **ედვარდ ბილენმა** ჩიკლეს ფირფიტებზე საჭმლის მონელების გამაუმჯობესებელი ფხვნილის პეფტინის მოყრის წინადადება წამოაყენა. ქერის ფანტელების კლივლენდელმა გამყიდველმა **უილიამ უაიტმა** ჩიკლეს ფირფიტებზე არომატიზატორებით გაჯერებული სიროფის მოსხმა დაიწყო. პიტნიანი ახალი საღეჭი რეზინის „იუკატანის“ რეკლამის მიზნით, იგი ვაშინგტონში ჩავიდა და ყველა კონგრესმენი თავისი ნაწარმით უხვად დაასაჩუქრა. მალე იგი თავადვე აირჩიეს კონგრესში, რის შემდეგ იახტა შეიძინა და ლონდონს გაემგზავრა, სადაც მეფე ედუარდ VIII აუდიენციაზე მიღების პატივი ერგო, რომელსაც მთელი ყუთი საღეჭი რეზინი მიართვა. ასე მიაღწია საღეჭმა რეზინმა ამერიკიდან ევროპამდე.

1899 წელს ადამსების, ბილენებისა და უაიტების ოჯახებმა საღეჭი რეზინის კომპანია „ჩიკლეტსი“ დააარსეს.

სანთელი

ჩემს ოჯახთან ერთად ღრმა მწუხარებას გამოვხატავ ჩემი სიყრმის მეგობრის ოთარ ლოლაშვილის ღირსეული მეუღლის, უსათნოესი ქალბატონის

დოდო ლოლაშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს ვუცხადებ განსვენებულის ოჯახს.

აბელ გეგია

„ქურდული სამყაროს“ წინააღმდეგ კანონმდებლობა გამკაცრდება

შსს-ს აკადემიაში ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომა გაიმართა.

შეხვედრას საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე შალვა ხუციშვილი უძღვებოდა.

სხდომას უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობაში შემავალი უწყებების – შინაგან საქმეთა სამინისტროს, მთავარი პროკურატურის, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

შეხვედრაზე ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგიისა და 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის პროექტების პრეზენტაცია გაიმართა. აღნიშნული დოკუმენტები, უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოში შემავალ სტრუქტურებთან კოორდინაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროს კვლევისა და განვითარების დეპარტამენტმა შეიმუშავა, რომელიც საკოორდინაციო საბჭოს სამდივნოს ფუნქციებს ახორციელებს.

სხდომაზე ასევე განიხილეს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შემუშავებული ინიციატივები, რომლებიც ე.წ. „ქურდული სამყაროსა“ და ე.წ. „კანონიერი ქურდების“ წინააღმდეგ კანონმდებლობის დახვეწასა და გამკაცრებას გულისხმობს. ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგიისა და 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის პროექტები უახლოეს მომავალში საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას დასამტკიცებლად გადაეგზავნება. შინაგან საქმეთა სამინისტრო ასევე მთავრობას წარუდგენს საკანონმდებლო პაკეტს ე.წ. „ქურდული სამყაროს“ წინააღმდეგ კანონმდებლობის გამკაცრების მიზნით“.

საქმე №1/07-2017

საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით

საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

ქ. თბილისი 9 მარტი 2017 წელი

არბიტრი: **ქეთევან ტაბატაძე**

საარბიტრაჟო მოსარჩელე: **შპს „ნოვა კრედიტი”**

საარბიტრაჟო მოპასუხე: **გიორგი გელაშვილი, თეიმურაზ ზაღოშვილი**

დავის საგანი: **სესხის თანხის გადახდის დაკისრება**

არბიტრმა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2017 წლის 17 იანვარს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელი მოპასუხე გიორგი გელაშვილისა და თეიმურაზ ზაღოშვილის მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2015 წლის 29 იანვარს შპს „ნოვა კრედიტსა” და გიორგი გელაშვილს შორის დაიდო №011514173 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „ნოვა კრედიტმა” მსესხებელზე გასცა 2260 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 84 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 1 თვე.

ხელშეკრულების თანახმად, ისეთ შემთხვევაში თუ მსესხებელი ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას დაარღვევს მას დაერიცხება პირგასამტეხლო ვადაგადაცილებული თანხის 3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან მთლიანი ძირითადი თანხის ვადაგადაცილების შემთხვევაში ძირითადი თანხისა და მიუღებელი სარგებლის ჯამის 0.3 პროცენტი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

2015 წლის 29 იანვარს შპს „ნოვა კრედიტსა” და თეიმურაზ ზაღოშვილს შორის გაფორმდა თავდებობის ხელშეკრულება.

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხეებზე გადახდის დაკისრება.

მოსარჩელე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე არბიტრაჟის მიერ გამოყენებული იქნა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლის თანახმადაც მოპასუხე გიორგი გელაშვილს აეკრძალა მათ საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე თეიმურაზ ზაღოშვილს სამჯერ გაეგზავნა ხელშეკრულებაში მითითებულ რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე, თუმცა კორესპონდენციის რამდენიმე მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. როგორც აღნიშნულ გზავნილებზე უფლებამოსილ პირთა მიერ განხორციელებული ჩანაწერებით ირკვევა აღრესატი ხელშეკრულებაში მითითებულ რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე არ იმყოფება.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე თეიმურაზ ზაღოშვილს მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და განხილვის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე თეიმურაზ ზაღოშვილი ხელშეკრულებაში მითითებულ რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე არ იმყოფება, მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი კი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით.

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე თეიმურაზ ზაღოშვილს (პირადი №01033004626) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

2. თეიმურაზ ზაღოშვილს განემარტოს, რომ:

გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

3. განემარტოს მოპასუხეს, მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

4. მოპასუხე თეიმურაზ ზაღოშვილს ეცნობოს, რომ 2017 წლის 3 აპრილს 11:30 საათზე შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11, დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელზე, სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით გიორგი გელაშვილისა და თეიმურაზ ზაღოშვილის მიმართ.

5. თეიმურაზ ზაღოშვილს ეცნობოს, თუ ის არ გამოცხადდება საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულია არბიტრაჟს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.

6. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა”-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

„ჯიბის კაცი“ ნიუ-იორკის ფესტივალზე

27 წლის ანა ჩუბინიძე პირველი ქართულ-ფრანგული ანიმაციური ფილმის „ჯიბის კაცის“ (The Pocket Man) ავტორია. ახალგაზრდა ილუსტრატორმა „ჯიბის კაცზე“ ცნობილი ფრანგული სტუდიის „ფოლიმაჟის“ ანიმატორ, მარიონშარიეესთან ერთად იმუშავა. ანიმაციის ჩვენება ფრანგულ ტელევიზია canal +ზე იგეგმება.

მანამდე კი, ანას ნამუშევარი ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ საბავშვო ფილმების ფესტივალში, New York International Children's Film Festival მონაწილეობს. ფესტივალში 2500 განაცხადიდან მხოლოდ 100 ფილმმა მოიპოვა მონაწილეობის უფლება.

ანა პირველი ქართველია, ვისი პროექტიც ფესტივალის ფინალისტებს შორის მოხვდა. იგი შეერთებულ შტატებში 15 მარტს უნდა გაემგზავროს, რათა თავისი ნამუშევრის მსოფლიო პრემიერაზე შეძლოს დასწრება. გასამგზავრებელი თანხის შეგროვებაში მას სტატუსის საქველმოქმედო პლატფორმა statusdonates.ge ეხმარება.

თიბისი სტატუსმა ახალი, ინოვაციური პლატფორმის პრეზენტაცია 2016 წლის 28 დეკემბერს გამართა. პროექტის დაწყებისთანავე, პირველ ეტაპზე ფინანსური მხარდაჭერა მიიღეს სოფელ ძეგვში არსებულმა თავშესაფარმა და შემოქმედებითი განათლების სტუდია CES-მა; ხოლო მოსწავლე-გამომგონებელთა კონკურსის „ლეონარდო და ვინჩის“ გამარჯვებულ მოსწავლეებს თიბისი სტატუსის ერთწლიანი სტიპენდია დაენიშნათ.

როცა დაავადება უკან იხევს

ცნობილი სახალხო მკურნალის, ქალბატონ მაყვალა ცინცაძის უძველესი საოჯახო სამკურნალო ტრადიციების გამგრძელებელი ნანა მელია-პაიჭაძე წინაპრების მიერ გადმოცემული ტექნოლოგიით სწრაფად და ეფექტურად მკურნალობს ჰაიმორიტს და ასევე მკურნალობს მცენარეული საფენ-მალამოებით 1.ძვალ-სახსროვან დაავადებებს: მარილებს, კისრის, მუხლ-სახსრის, მენჯ-ბარძაყის ართროზს; 2. ოსტეოძონდროზს; 3. რადიკულიტს; 4. დისკოზს; 5. ნერვის და სახსრების ანთებას; 6. ფეხის ტერფის, ძუსლის ტკივილს.

ვისაც გსურთ სწრაფად, ეფექტურად მკურნალობა და უპირატესობას ანიჭებთ საუკუნეებგამოვლილ, აღიარებულ მცენარეულ მალამოებს, შეგიძლიათ, მიაკითხოთ ქალბატონ ნანას მისამართზე: *ქ. თბილისი, წერეთლის მე-3 კორპუსი, მე-2 სადარბაზო, მე-2 სართული.* ნანა მელია-პაიჭაძე. ტელ: 2 34 62 51. 557 25 66 17. 599 20 19 66.

როცა თვალს „დახატვა“ აღარ სჭირდება

მხედველობის კონტაქტური კორექციის სფეროში უახლესი ტექნოლოგიური მიღწევა ეგრეთ წოდებული „ბიუთი-ლინზებია“.

ისინი არა მარტო იცავენ თვალს მავნე ულტრაიისფერი გამოსხივებისგან, არამედ მის ბუნებრივ ფერს უფრო ინტენსიურად და მეტყველად, ფერადი გარსის კონტურს კი უფრო მკვეთრს ხდიან.

ყველაფერი ეს მზერას სიღრმეს ანიჭებს, შედეგად კი მანდილოსანთა ასეთ თვალებს არავითარი ტუში აღარ სჭირდება!

კარიერა თუ შვილები?

თანამედროვე ადამიანისთვის სოციალური სტატუსი შვილებზე უფრო მნიშვნელოვანია, – აცხადებენ ამერიკის ემორის უნივერსიტეტის მეცნიერები.

მათი მტკიცებით, როცა კაცის სოციალური სტატუსი მატულობს, მისი გამრავლების უნარი იკლებს. აღმოჩნდა, რომ შრომის განვითარებული ბაზრის მქონე მეგაქალაქებში, სადაც სამუშაო ადგილებისთვის მაღალი კონკურენციაა, მკვეთრად ისახება დემოგრაფიულ მაჩვენებელთა შემცირების ტენდენცია.

მკვლევართა აზრით, თანამედროვე ადამიანს შვილების ოდენობაზე მეტად მატერიალური კეთილდღეობის დონე ადარდებს.

დასანანიცაა და არასამართლიანი?!

ტანმორჩილი მამაკაცები და ტანსრული ქალები უფრო დაბალ შრომით გასამრჯელოს იღებენ, თანაც მათ ცხოვრებაში წარმატების მიღწევის ნაკლები შანსი აქვთ, – ასეთია ბრიტანელ მეცნიერთა კვლევიდან გამოტანილი დასკვნა.

მათ 120 ათასი კაცის მონაცემები გააანალიზეს და აღმოჩნდა, რომ ის მამაკაცები, ვინც თავიანთ კოლეგებზე საშუალოდ 7,5 სანტიმეტრით დაბალია, წელიწადში 2130 გირვანქა სტერლინგით ნაკლებ შრომით ანაზღაურებას იღებს.

იგივე დაკვირვება სამართლიანია იმ ქალბატონების მიმართაც, ვინც თავისივე სიმაღლის კოლეგებზე საშუალოდ 6,3 კილოგრამით მეტს წონის – წელიწადში ისინიც 2130 გირვანქა სტერლინგით ნაკლებს ღებულობს.

გულმა ნაკლებად რომ შეგაწუხოთ

ცეკვები გულის სისხლძარღვთა დაავადებებისგან სიკვდილის ალბათობას ამცირებს, – აცხადებენ სიდნეის (ავსტრალია) უნივერსიტეტის მედიკოსები, რომლებიც 10 წლის მანძილზე დიდი ბრიტანეთის 48 390 კაცს აკვირდებოდნენ. მკვლევარებს იმის დადგენა უნდოდათ, თუ როგორ მოქმედებს ფიზიკური ვარჯიში მოხალისეთა ჯანმთელობაზე.

აღმოჩნდა, რომ 40 წელს გადაცილებული ადამიანები, ვინც ცეკვას მისდევდა, გულისა და სისხლძარღვთა დაავადებებისგან 46 პროცენტით ნაკლებად იღუპებოდნენ იმათთან შედარებით, ვინც არ ცეკვავდა. მკვლევარები ასევე იმასაც აღნიშნავენ, რომ ამ შემთხვევაში არ შეიძლება ცეკვის დროს სოციალური ურთიერთობის შეუფასებლობა: ცეკვა სტრესს ხსნის და გულის სისხლძარღვთა სისტემაზე დადებითად ზემოქმედებს.

მკითხველის ხანგრძლივი სიცოცხლე

წიგნის კითხვა სიცოცხლეს ახანგრძლივებს, გაარკვიეს იელის (აშშ) უნივერსიტეტის მეცნიერებმა.

გამოკვლევის მონაწილეებზე 12-წლიანმა დაკვირვებებმა აჩვენა, რომ იმ ადამიანებში, ვინც წიგნის კითხვას კვირაში 3,5 საათს ანდომებდა, უდროო სიკვდილის რისკი, იმათთან შედარებით, ვინც წიგნს არ კითხულობდა, 23 პროცენტით ნაკლებია.

კითხვა თავის ტვინის უჯრედებს შორის კავშირების მატებას უწყობს ხელს, მაშასადამე ხანდაზმულობით გონებასისუსტის საფრთხეს ამცირებს. გარდა ამისა, წიგნის კითხვა ასევე იმითაა სასარგებლო, რომ ამცირებს ინსულტისა და გულის დაავადებათა წარმოშობის საფრთხეს. კითხვის კიდევ დადებითი მხარე ისაა, რომ იგი ძილისთვის მეტად სარგებლიანია.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4596; ევრო - 2.6003;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 2.9990;
100 რუბლი - 4.2386; თურქული ლირა - 0.6671;
აზერბაიჯანული მანათი - 1.3873;
1000 სომხური დრამი - 5.0609.

ამინდი 10 მარტისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +2	დღე +17
მთიანი რაიონები -	ღამე -4,	დღე +16
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +8,	დღე +24
მთიანი რაიონები -	ღამე 0,	დღე +20
თბილისი:	ღამე +3,	დღე +15

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge